ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №41, დეკემბერი, 2017 წელი

მხატვარი დავით ბაძაღუა

აფხაზეთის ძეგლები ფოტოობიექტივში

გვ. 2

„ივერმშენის“ აღდგენილი ტაძრები სულიერი ცხოვრებით ივსება

გვ. 3

კაპელა, რომელიც გურამ ყურაშვილმა „გვაჩუქა“

გვ. 4

დიმიტრი (დიმა) ჯაიანი (1950-2017)

გვ. 5-8

განათლება - ძალა, რომელიც აფხაზეთს დაგვიბრუნებს

გვ. 10

ორი პუბლიკაციის ერთი განმარტება

ნატო კორსანტია

ჩვენი ორი პუბლიკაცია - „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები ფოტოობიექტივში“ და „ივერმშენის“ აღდგენილი ტაძრები სულიერი ცხოვრებით ივსება“ ამ ნომრისთვის ერთდროულად საგანგებოდ არ მოგვიმზადებია. ეს ის იშვიათი „შემთხვევაა“, რომელსაც კანონზომიერებას უფრო დაარქმევ.

პირველი პუბლიკაციის თანმხლებ ფოტოებზე აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის რამდენიმე ძეგლის ამჟამინდელი საგანგაშო მდგომარეობაა აღბეჭდილი. მეორე პუბლიკაციის გმირი - ედიშერ ჯანჯულია კი, რომელიც სოფელ ოქუმის მკვიდრია, დევნილობაში ენგურსაქეთა საქართველოში სწორედ ანალოგიურ მდგომარეობაში მოქცეულ ძეგლებს აღადგენს და მათ თავდაპირველ დიდებულებას უბრუნებს.

ეს ორი პუბლიკაცია გვერდიგვერდ ალბათ იმიტომაც აღმოჩნდა, რომ წარმოვიდგინოთ და გული დაგვწყდეს (თუმცა ეს ის სიტყვა არ არის), ედიშერ ჯანჯულიასა და მის კომპანია „ივერმშენს“ რომ ხელი მიუწვდებოდეთ, აფხაზეთის დანგრეულ ან ნგრევის პირას მისულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსაც როგორ დაუბრუნებდნენ ახალ სიცოცხლეს.

ერთსაც დავძენთ, ამჟამად კომპანია „ივერმშენი“ თითქმის მიწასთან გასწორებულ აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის გრანდიოზულ აღდგენით-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ეწევა.

ამბობენ, ქართული დიდების მოწმე და თვითმხილველი და თავადაც ოდესღაც დიდებული აწყურის უდიდესი ტაძარი რომ აღდგება, საქართველოც გამთლიანდება და გაძლიერდებაო, ოღონდ არა მხოლოდ ტერიტორიულად, არამედ, რაც კიდევ უფრო მთავარია, სულიერადაც. აწყურის ხატის სასწაულებზე ბევრი იწერება და იქნებ მან ახლაც შეიძლოს ეს სასწაული...

იხ. მე-2 და მე-3 გვ.

აფხაზეთის ისტორიას ფრანგულ ენაზეც გაეცნობიან

საკუთარი ინფორმაცია

2017 წლის მიწურულს, საფრანგეთში, პარიზში, ერთ-ერთმა ფრანგულმა გამომცემლობამ ფრანგულ ენაზე გამოსცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, პროფესორ ჯემალ გამახარიასა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ლია ახალაძის მონოგრაფია „აფხაზეთი (საქართველო) - ისტორია, პოლიტიკა და კულტურა“.



წიგნი ფრანგულად თარგმნა და შესავალი დაურთო საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ბადრი გოგიამ, რედაქტორია საფრანგეთის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი ოთარ პატარიძე. აფხაზეთის ისტორიას სამეცნიერო საზოგადოება უკვე ფრანგულ ენაზე გაეცნობა.

წიგნი მანამდე უკვე გამოცემული იყო რუსულ, ჩეხურ, გერმანულ, იტალიურ, თურქულ და არაბულ ენებზე. ნიშანდობლივია, რომ ამ ინფორმაციის გაგრძელებასავით აღმოჩნდა ჩვენი დღევანდელი ნომრის ერთ-ერთი გმირის - აფხაზეთიდან დევნილი წარმატებული ახალგაზრდის, კაიროს უნივერსიტეტის სტუდენტის, ლედი ჯალაღონიას ინფორმაცია: „კაიროში მე და ჩემს მეგობრებს წილად გვხვდა პატივი სხვადასხვა დაწესებულებაში, ბიბლიოთეკასა თუ უნივერსიტეტში წარგვედგინა ქართულ და არაბულ ენაზე გამოცემული წიგნი „აფხაზეთი. საქართველო: ისტორია, პოლიტიკა, კულტურა“. (ავტორები - ჯემალ გამახარია, ლია ახალაძე, არაბული ტექსტის რედაქტორი - ნინო ეჯიბაძე)“.

სასიამოვნოა, როცა ინფორმაცია ასე უბრალოდ და თავისთავად იკვრება და მთლიანდება.

აფხაზეთის ძეგლები ფოტოობიექტივში

ქეთი დავითაია

აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის შემდგომ იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობაზე მეტად არასრული და ხშირად ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს. ჟენევის მოლაპარაკების პროცესში ჰუმანიტარული მიმართულებით არსებულ სამუშაო ჯგუფში მუდმივად კამათობენ აფხაზეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე, თუმცა ქართულ დელეგაციას ხშირად მხოლოდ რამდენიმე წლის წინანდელი ფოტოებით თუ ინფორმაციით უწევს ტაძრების მდგომარეობაზე საუბარი.

გარდა ამისა, სამწუხაროდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების ყოველწლიური მონიტორინგის საშუალებაც არ გვაქვს. ასევე აღსანიშნავია, რომ შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, შეჩერებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობებისათვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცესი.

აქედან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის ქვეპროგრმის - „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები“ - ფარგლებში გამოცხადდა ფოტოკონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ოკუპირებული გალის ტერიტორიაზე მცხოვრებმა და საკითხით დაინტერესებულმა პირებმა. მათ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, კონკურსის მოთხოვნების შესაბამისად, აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფოტოები გადაიღეს. სამინისტროში სპეციალურად შექმნილმა კომისიამ კი გამოავლინა ორი გამარჯვებული და ისინი მობილური ტელეფონებით დააჯილდოვა.

ფოტოკონკურსის ფარგლებში შემოვიდა: **ბედიის, ილორის, ბომბორისა და ბზიფის ეკლესიების** ამსახველი ფოტომასალა, რომლის მიხედვით დადასტურებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბედიის ტაძარში ბაგრატ III ფრესკა სრულიად განადგურებულია; ამასთანავე, აქამდე ბომბორას ეკლესიის ამსახველი ფოტომასალა საერთოდ არ გვქონდა. ახლანდელმა ფოტოებმა კი მოგვცა შესაძლებლობა ბომბორას ტაძარსა და იმავე ტერიტორიაზე არსებულ სხვა ტაძრებს შორის განსხვავებები ვიპოვოთ და დავათარიღოთ. საერთოდაც, საგულისხმოა, რომ ამ მასალამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ტაძრების დათარიღებასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება შეგვაძლებინა.

უნდა ითქვას, რომ ამ პროექტს წესით უფრო მეტი გამოხმაურება უნდა მოჰყოლოდა, თუმცა როგორც ცნობილია, ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე ფოტოების გადაღება დიდ საფრთხესთან არის დაკავშირებული და როგორც ჩანს, კონკურსანტების სიმცირეც **ამან განაპირობა.**

ბედიის ტაძარი. ბედიის კომპლექსი X საუკუნის მიწურულს, დაახლ. 999 წელს ააგო გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III ბაგრატიონმა. მან აქვე დააარსა საკათალიკოსო. ამჟამად ტაძარი სერიოზულ რეაბილიტაციას საჭიროებს.

ბედიის ტაძარი. ბაგრატ III-ის ფრესკა

სატრაპეზო

ბზიფის ეკლესია. ბზიფის ეკლესია თარიღდება IX საუკუნის II ნახევრით. ბზიფის ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. ციხის ზედა ნაწილში მდებარეობდა ტაძარი, ქვედა ნაწილის ეზოში გადიოდა ძველი გზა. ციხე კეტავდა ბზიფის ხეობას და გადასასვლელს მდინარეზე.

ბომბორას ეკლესია. X საუკუნის დარბაზული ეკლესია, შვერილი აფსიდით. ტაძარი მდებარეობს გუდაუთის მუნიციპალიტეტში, ზღვის სანაპიროსთან ახლოს, შემაღლებულ ადგილზე. ნაგებობა აგებულია კარგად გათლილი კვადრებით. ტაძრის ქვეშ დასავლეთ ნაწილში არის მოზრდილი თაღოვანი აკლდამა. ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია, ჩამოქცეულია კამარა და კედლების დიდი ნაწილი. შედარებით უკეთ არის შემონახული ტაძრის ჩრდილოეთი კედელი.

ილორის ეკლესია. ილორის წმინდა გიორგის ეკლესია თარიღდება XI საუკუნით. ტაძარი მდიდარი იყო ქრისტიანული სიწმინდეებით. 2010 წელს აფხაზმა სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა მე-11 საუკუნის ეკლესიას რუსული გუმბათი დაადგეს და ქართული კვალის წასაშლელად გარე ფასადი მთლიანად, ხოლო შიდა კედლები ნაწილობრივ თეთრად გადაღებეს, აღმოსავლეთის მხარე კი, სადაც ქართული წარწერები იყო ამოკვეთილი, მთლიანად გადალესეს.

„ივერმშენის“ აღდგენილი ტაძრები სულიერი ცხოვრებით ივსება

ნატო კორსანტია

„კარგია, როცა ვაშენებთ ახალ ეკლესია-მონასტრებს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ძველი ეკლესიების აღდგენა, მათთვის პირვანდელი სახის დაბრუნება, რამეთუ ეს არის იმ ისტორიული გზის გავლა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ეკლესიამ გაიარა“, - ბრძანებდა ერთ-ერთ ქადაგებაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

სწორედ ამ ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს ემსახურება სამშენებლო კომპანია „ივერმშენი“, რომლის ხელმძღვანელს ედიშერ ჯანჯულიას მიაჩნია, რომ აფხაზეთიდან დევნილობის შემდეგ ამ საქმის კეთება უფალმა შთააგონა. უფლის ნებას კი, ცხადია, ვერავინ გადავა. სამშენებლო კომპანია „ივერმშენმა“ დაფუძნებიდან თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში არაერთი ტაძარი მაღალკვალიფიციურად აღადგინა და თანდათან ანგარიშგასაწევ სარესტავრაციო კომპანიად ჩამოყალიბდა. ყველა ტაძარს თავისი ისტორია და სულიერება აქვს და თითოეული მათგანის აღდგენა ალბათ ამ ისტორიასა და სულიერებასთან მიახლებასაც ნიშნავს.

„ჩვენთვის და ჩვენი კომპანიის წევრებისთვის ამადაც ღირდა ცხოვრება, - ამბობს ედიშერ ჯანჯულია, - უფალს მადლობა, რომ მისი შეწევნით ვემსახურებით საუკუნეებგამოვლილი ეკლესია-მონასტრების აღდგენას, სიცოცხლეს ვუბრუნებთ მათ და ყოველდღიურად ფიქრი გვიწევს ჩვენს წარსულზე, ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობაზე“.

კომპანიამ მისი დაარსებიდან დღემდე მრავალი დიდი ისტორიის მქონე ტაძარი გადაარჩინა საბოლოო დანგრევას და შეუნარჩუნა სიცოცხლე. მათ შორისაა გელათის სამონასტრო კომპლექსი, გაბრიელ მთავარეპისკოპოსის სასახლე, უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალი, კაწარეთის სამება, მცხეთის წმინდა ბარბარეს ეკლესია, ფუძნარის ღვთისმშობლის ეკლესია (მცხეთა-მთიანეთი), ეკის მაცხოვრის ჯვრის ეკლესია (სენაკის რაიონი), კვაუთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია (სენაკის რაიონი), სქურის ფერიცვალების ეკლესია (წალენჯიხის რაიონი), ჭოღის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია (ჩხოროწყუს რაიონი), ოცინდალეს წმიდა გიორგის ეკლესია (ჩხოროწყუს რაიონი), ნარიყალას ციხე-სიმაგრის კედელ-ბურჯების აღდგენა-რესტავრაცია, ბათუმში საბაევის ქუჩაზე მდებარე რომანოვების სახლი და სხვ.

აწყურის ტაძარი

ნარიყალას ციხე ისტორიულ ძეგლთა შორის ერთ-ერთ უძველეს ციხესიმაგრედ არის მიჩნეული. დღემდე მოღწეული ძირითადი გამაგრებები XVI და XVII საუკუნეებით თარიღდება. მეოთხე საუკუნის ციხესიმაგრე ფრაგმენტულად გასული საუკუნის 90-იან წლებში აღადგინეს, თუმცა მისი ახლანდელი მდგომარეობა საშიშად ავარიულია. კომპანია „ივერმშენმა“ ნარიყალას ციხე-სიმაგრის რეაბილიტაცია გეგმისამებრ, მე-12-დან მე-18 ბურჯამდე უკვე დაასრულა. დანარჩენი სამუშაოები გაისად გაგრძელდება.

აღდგენილ ეკესიათაგან განსაკუთრებით მასშტაბური გამოვიდა ფუძნარისა და სქურის ტაძრები... და ეს შესაძლებელი გახდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სამშენებლო კომპანია „ივერმშენის“ თანამშრომლობით, რომელიც 2012 წელს დაიწყო.

როგორც ედიშერ ჯანჯულია ამბობს, კომპანიას გაუმართლა იმ მხრივაც, რომ მისი მთავარი არქიტექტორ-რესტავრატორია დოდო ჭიკაიძე, მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, თავის საქმეზე შეყვარებული ადამიანი. კომპანიას ჰყავს ასევე კვალიფიციური არქიტექტორრესტავრატორები - ნანა ინწკირველი, მაგდა სარჯველაძე, ილია გამისონია, ბორის ბობოხია, ხელოვნებათმცოდნე - ირინე ელიზბარაშვილი... თითოეული მათგანი არა მხოლოდ რესტავრაციის პროცესში, არამედ ტაძრების პროექტირებაშია აქტიურად ჩაბმული.

თავიდან ფუძნარისა და სქურის ტაძრების მასშტაბურობაზე მივუთითეთ, უფრო კონკრეტულად კი ფუძნარის ღვთისმშობლის ტაძარი შუასაუკუნეების ძეგლია, რომელიც დროთა განმავლობაში საკმაოდ დაზიანდა. ამ ტაძრის აღდგენაზე ტენდერი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ გამოაცხადა. კომპანია „ივერმშენმა“ ტენდერში გამარჯვების შემდეგ მის აღდგენაზე მუშაობა 2012 წლის ზაფხულში დაიწყო. ტაძრის კედლები თითქმის ერთი მეტრით იყო გადახრილი. გადაწყდა, რომ ეს კედლები დანგრევის გარეშე, მოჭიმვის მეთოდით დაებრუნებინათ პირვანდელ ადგილას. ეს იყო ძალიან შრომატევადი საქმე, რომელსაც კომპანიამ გამოცდილ კონსტრუქტორ ზურაბ გაჩეჩილაძესთან, არქიტექტორ-რესტავრატორ დოდო ჭიკაიძესთან ერთად თავი წარმატებით გაართვა და დღეს უკვე ფუძნარის ტაძარი რესტავრაციის საუკეთესო ნიმუშად არის აღიარებული. ამ ტაძრის შემყურე ვერავინ იფიქრებს, რომ ის აღდგენილია და არა პირვანდელი სახით ჩვენამდე მოღწეული. თავად ედიშერ ჯანჯულია მას სამშენებლო კომპანია „ივერმშენის“ საქმიანობის გვირგვინს უწოდებს და წელიწადის ყველა დროში სტუმრობს ტაძარს და მისი დიდებულებით ტკბება. ფუძნარის ტაძარი მალე სულიერი ცხოვრებით აივსო, რისი ნატვრაც ახლდა მაშინ მის აღდგენას. და ამიერიდან აქედან აღვლენილი წირვა-ლოცვაც შეეწევა სრულიად საქართველოს გამარჯვებასა და ძლიერებაში.

სულიერი ცხოვრება განახლდა ასევე კომპანიის მიერ რესტავრირებულ სქურის ფერიცვალების ტაძარში. „ივერმშენმა“ ამ ტაძრის აღდგენაზე მუშაობა ისევ კულტურული მემკვიდრეობის დაცის სააგენტოს მიერ ტაძრის აღსადგენად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ დაიწყო. სარესტავრაციო სამუშაოების დაფინანსება ისევ „ქართუ-ჯგუფმა“ იდო თავს. ბაგრატის ტაძრად წოდებული სქურის ტაძარი საქართველოს ეკლესია-მონასტრებს შორის გამორჩეულია თავისი წყობითა და არქიტექტურით, ის დარბაზული ტიპის ეკლესიათა შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მონუმენტურია.

მეუფე გერასიმე (შარაშენიძე), ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი ასე აფასებს სქურის ტაძრის აღდგენის ფაქტს:

„მეორე ბაგრატის ტაძრად წოდებული სქურის ტაძარი დიდი სულიერების კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ ძალიან დიდი სასულიერო პირები. ამ ხეობაში მიმოფანტული მრავალი ეკლესია-მონასტრის ბერები კვირაობით აქ ამოდიოდნენ და ერთად ატარებდნენ წირვა-ლოცვას. მრავალი ათეული საუკუნის განმავლობაში ეს ტრადიცია დარღვეული იყო. ღვთის წყალობით, გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, რომლებმაც ამ უძველესი სულიერების კერის აღდგენა ითავეს და ჩვენ უდიდესი სასწაულის მომსწრენი გავხდით. მინდა დავლოცო ეს ადამიანები, რადგან ახალი ტაძრის აშენება უფრო ადვილია, ვიდრე დანგრეული ტაძრისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება“.

„დანგრეული ტაძრისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება“, ტაძრის რესტავრაცია თუ ტაძრის გაცოცხლება უკვე სულიერ მოთხოვნილებად ექცა „ივერმშენის“ ხელმძღვანელს ედიშერ ჯანჯულიას. და ასე განახლდა და აღორძინდა ოდესღაც ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში მოქცეული ეკისა და კვაუთის ტაძრებიც სენაკის რაიონში. მათ ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწიეს და დიდხანს ელოდნენ შველას.

სპეციალისტების შეფასებით, ეკის მაცხოვრის ჯვრის ეკლესია უგუმბათო ნაგებობაა, მისი გეგმა თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიათა რიგიდანაა.

სენაკის რაიონს განეკუთვნება ასევე კვაუთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, რომელიც XVI-XVII საუკუნეებში აღუდგენიათ. მერე ისევ დანგრეულა და მას ახლა უკვე ჭირისუფლად კომპანია „ივერმშენი“ მოევლინა. პროექტი ადგილობრივმა მკვიდრმა აკაკი ბარქაიამ დააფინანსა, პროექტის რეაბილიტაცია კი კომპანია „ქართუ-ჯგუფმა“.

ყურადღების სამეგრელოს რეგიონზე გადატანა, როგორც ედიშერ ჯანჯულია ამბობს, შემთხვევით არ მომხდარა. თავად ის აფხაზეთიდან, ოქუმიდან არის და სამეგრელოში ყოფნისას თითქოს უფრო ახლოს გრძნობს თავს არა მხოლოდ წართმეულ სამშობლოსთან, არამედ იქ არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან - ბედიასთან, ილორთან, მოქვთან, ლიხნთან...

2016 წელს სამშენებლო კომპანია „ივერმშენმა“ გრანდიოზული აღდგენითი–სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო აწყურის ღვთისმშობელზე...

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა სწორედ „ივერმშენს“ - ასეთ გამოცდილ და კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებულ კომპანიას ანდეს მამულისა და ქრისტიანობის დასაცავად ქართველი ერის თავდადებული ბრძოლის სიმბოლოდ მიჩნეული აწყურის ციხე-სიმაგრისა და აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციის უმნიშვნელოვანესი მისია.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ აწყურში საეპისკოპოსო ტაძარი ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში არსებობდა. იგი მოქმედი იყო მხოლოდ XVI საუკუნის ბოლომდე. ისტორიული გადმოცემებით, თურქების შემოსევების შედეგად აქ წირვა-ლოცვა შეწყდა, ამის შემდეგ კი ის გაიძარცვა. გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობლის ტაძრის სიდიდე და სიდიადე შთამბეჭავი იყო. მისი სიგრძე შეადგენდა 40 მეტრს, ხოლო სიგანე 27 მეტრს. აწყურის ტაძარი ყველაზე დიდი საკულტო ნაგებობა იყო საქართველოში, სადაც ტაძრების აგებისას, ის ხუროთმოძღვრებისთვის სამაგალითო ძეგლად იყო მიჩნეული.

ტაძრის უმთავრეს სიწმინდეს წარმოადგენდა აწყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი. „ქართლის ცხოვრება“ ამბობს: როდესაც მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვინ რომელ ქვეყანაში უნდა წასულიყო საქადაგებლად, ყოვლაწმინდა ღვთისმშობელს საქართველო ერგო. მაგრამ მას მაცხოვარი გამოეცხადა და უთხრა, რომ თავის ნაცვლად აქ ანდრია პირველწოდებული გამოეგზავნა და თან გამოეტანებინა ხელთუქმნელი ხატი, მაშინ ღვთისმშობელმა მოითხოვა ფიცარი, სახეზე მიიდო და ფიცარზე მისი ხელთუქმნელი ხატი გამოისახა.

ღვთისმშობლმა დალოცა მოციქული და მიუთითა, რომ ხატი უნდა დაბრძანებულიყო აწყურში. სწორედ ამ ხატით შემოვიდა I საუკუნეში ანდრია პირველწოდებული საქართველოში. მან წმიდა სვიმონ კანანელთან ერთად მოიარა ტრაპიზონი, დიდაჭარა, ეგრისი. აწყურში პირველი კათედრა ჩამოაყალიბა და ღვთისმშობლის ხატი იქ დააბრძანა. მართლამადიდებლური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე ამ დროისათვის დაკარგულია. მისი ყველაზე ძველი ასლი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

აწყურის ციხე სამხრეთიდან მომავალ ერთ-ერთ უმთავრეს გზას დარაჯობდა და არაერთხელ გამხდარა ქართველთა გმირული ბრძოლების მოწმე. ჟამთა სვლამ როგორც ციხე, ისე ტაძარი მიწასთან გაასწორა და ჩვენ მხოლოდ ნანგრევების სახით შემოგვრჩა.

ტაძრის რეაბილიტაციის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ღვთისმშობლისადმი ლოცვა აღავლინა აწყურის ტაძრის ნანგრევებთან.

ამბობენ, ქართული დიდების მოწმე და თვითმხილველი ეს უდიდესი ტაძარი რომ აღდგება, საქართველოც გამთლიანდება და გაძლიერდებაო, ოღონდ არა მხოლოდ ტერიტორიულად, არამედ სულიერადაც, რაც კიდევ უფრო მთავარია. აწყურის ხატის სასწაულებზე ბევრი იწერება და იქნებ მან ახლაც შეიძლოს ეს სასწაული. მისი აღდგენის სათავეებთან აფხაზეთის მკვიდრიც იქნებ ამიტომაც შეარჩია უფალმა.

სქურის ტაძარი

ფუძნარის ტაძარი - აღდგენამდე

ფუძნარის ტაძარი - აღდგენის შემდეგ

კაპელა, რომელიც გურამ ყურაშვილმა „გვაჩუქა"

მაია შონია

აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა ერთ-ერთი გამორჩეული მუსიკალური კოლექტივია საქართველოში თავისი განსაკუთრებული რეპერტუარით, სტილითა და შესრულების მანერით. კაპელას უკვე წლებია თავისი ადგილი აქვს ქართულ მუსიკალურ სამყაროში და დიდი წარმატებით სარგებლობს საერთაშორისო ასპარეზზეც (ის არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და გრან პრის მფლობელია) და ეს ყველაფერი კაპელის დამაარსებლისა და ათეული წლების განმავლობაში მისი ხელმძღვანელის გურამ ყურაშვილის სახელს უკავშირდება. დღეს აფხაზეთის საგუნდო კაპელა გურამ ყურაშვილის სახელობისაა და მაესტროს მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ზვიად ბოლქვაძე აგრძელებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში აფხაზეთის ახალგაზრდული საგუნდო კაპელის დამაარსებლის, გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატის, აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მუშაკის გურამ ყურაშვილის ხსოვნის საღამო გამართა.

ყველაფერი 1980 წელს სოხუმში დაიწყო, როდესაც აფხაზეთის ბავშვთა ინტერნაციონალური კაპელის ჩამოყალიბება გადაწყდა და მის ხელმძღვანლად კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტი გურამ ყურაშვილი მიიწვიეს. კაპელაში გაერთიანდნენ სომხები, აფხაზები, ესტონელები, ბერძნები, ქართველები და ა.შ. კაპელისთვის შეიქმნა რეპერტუარიც და დაიწყო აქტიური მუშაობა. მალე კაპელა უნგრეთის ქალაქ დებრეცენში ბელა ბარტოკის საერთაშორისო ფესტივალის პირველი ადგილის მფლობელი გახდა.

კაპელა ხშირად დადიოდა უცხოეთში საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე. შემდეგ იყო აფხაზეთის ომი. კაპელა დაიშალა. 2007 წელს კი გურამ ყურაშვილს გაუჩნდა იდეა, თბილისში შექმნილიყო აფხაზეთის ახალგაზრდული საგუნდო კაპელა და აქ გაგრძელებულიყო აფხაზეთში გაწყვეტილი ისტორია. გურამ ყურაშვილმა ისევ შეკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები - კონკურსის შედეგად შეარჩია ისინი, ისევ შეიქმნა რეპერტუარი და დაიწყო კიდევ უფრო საინტერესო და წარმატებული შემოქმედებითი ცხოვრება. კაპელა არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული გახდა და ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ შემოქმედებით კოლექტივად ჩამოყალიბდა საქართველოში. ეს ისტორია მაესტროს ხსოვნის საღამოზე სპეციალურად შექმნილმა კლიპმა შეგვახსენა. საღამოზე აფხაზეთის საგუნდო კაპელამ რამდენიმე ნაწარმოები შეასრულა, მათ შორის კომპოზიტორ გოგი ჩლაიძის მიერ გურამ ყურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი „ფერიცვალება ღამეა". დამსწრეთ რამდენიმე ნაწარმოები შესთავაზეს ასევე აფხაზეთის ბავშვთა ინტერნაციონალური კაპელის წევრებმა. საღამოს უძღვებოდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელოვნების და მიმდინარე ღონისძიებების სამსახურის უფროსი კახაბერ ძაძამია.

თავად მაესტრო, მისი საოცარი ნიჭიერება, საქმისადმი ერთგულება და შრომისმოყვარეობა კი გაიხსენეს ადამიანებმა, რომელთაც წლების განმავლობაში მასთან მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდათ.

მანანა ქვაჩახაია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე: - ეს საღამო უნდა გაეხსნა ყველასთვის ძვირფას და საყვარელ ადამიანს, ჩვენს მინისტრს, დიმიტრი ჯაიანს. საღამოს ჩატარების იდეის ავტორიც ის იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ამ იდეის განხორციელებას ვერ მოესწრო. აფხაზეთის საგუნდო კაპელა, რომელიც სოხუმში ჯერ კიდევ 80-იან წლებში მაესტრო გურამ ყურაშვილმა ჩამოაყალიბა როგორც ინტერნაციონალური საბავშვო კაპელა, ახალი ცხოვრებით, ახალი სუნთქვითა და შემართებით თბილისში მოგვიანებით შეიქმნა. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მისგან საჩუქრად დაგვრჩა აფხაზეთის საგუნდო კაპელა, რომელმაც თავისი განსაკუთრებული ადგილი იპოვა, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: - დიდი დანაკლისი განვიცადეთ ბატონი დიმას და ბატონი გურამის წასვლით, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. ჩვენ დღეს ვამაყობთ იმ კოლექტივით, რომელსაც აფხაზეთის საგუნდო კაპელა ჰქვია. ეს არის ბატონი გურამის საოცარი შრომის შედეგი. ფრანგებს აქვთ ასეთი გამოთქმა - „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს" – წავიდა მეფე, გაუმარჯოს ბატონ ზვიადს, რომელიც დღეს ღირსეულად ხელმძღვანელობს კაპელას. დიდი მადლობა მინდა გითხრათ იმისთვის, რომ ასე სათუთად ინახავთ ბატონი გურამის სახელსა და ღირსეულად აგრძელებთ მის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას.

გია გვაზავა, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: - გურამ ყურაშვილი საოცარი ადამიანი იყო. ბოლო წუთამდე თავს არ ზოგავდა და მუშაობდა. ის არ იყო მარტო საქართველოს შვილი, ის იყო მუსიკის შვილი, რომელიც ღმერთმა შექმნა ესპერანტოს სახით. მადლობა მინდა ვუთხრა კაპელის წევრებს, რომლებიც სიცივეში და საოცარ პირობებში მეცადინეობდნენ და ასე მოიტანეს ეს ყველაფერ აქამდე. ოლიმპოს შენარჩუნება უფრო რთული შეიძლება იყოს, ვიდრე მასზე ასვლა. ბატონი ზვიად ბოლქვაძე სწორედ ის ადამიანია, რომელიც ამას შეძლებს. ვამაყობთ იმით, რომ ასეთი კოლექტივი ჰყავს აფხაზეთს და საქართველოს.

ზვიად ბოლქვაძე, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის საგუნდო კაპელის ხელმძღვანელი: - ჯერ კიდევ ბევრი წელი დასჭირდება გურამ ყურაშვილის გარდაცვალების გააზრებას. ყველა ჩვენგანს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა მასთან, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ ჩვენი სახელები ასე დაუკავშირდებოდა ერთმანეთს. ჩემთვის ეს ძალიან დიდი პატივია. განსაკუთრებული ადამიანი იყო, თავისი გამორჩეული ხასიათით. ბავშვთა კაპელის წარმომადგენლებს განსაკუთრებული შეგრძნება აქვთ ბატონი გურამის მიმართ. უდიდესი განძია, რომ ასეთი კოლექტივი არსებობს. მადლობას ვუხდი ბატონ დიმიტრი ჯაიანს, მის სულს, რომ დღეს აქ ვარ.

ირმა მორალიშვილი, ბავშვთა ინტერნაციონალური კაპელის წევრი: - ჩვენი დილა იწყებოდა გურამ ყურაშვილით და დღე მთავრდებოდა მისით. ძალიან ფიცხი და მომთხოვნი ადამიანი იყო, მაგრამ საოცრად მშრომელი. ვერც ერთი მშობელი ვერ გაბედავდა, ეთქვა მისთვის, ჩემი შვილი დაიღალაო. კონკურსზე წასვლის წინ საუკეთესო ბანაკებში მივყავდით ჩვენს მაესტროს და დღეში 12 საათსაც კი ვმუშაობდით, რისი შედეგიც იყო ჩვენი პირველი გამარჯვება უნგრეთში და პირველი ფურორი. ბატონი გურამი ჩვენთვის უსაყვარლესი ადამიანი იყო. მან სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს ერთმანეთი შეგვაყვარა და მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნაში ვცხოვრობთ, დღესაც ერთმანეთს ვეფერებთ.. თუ გინდა, რომ წარმატებული იყო, ათი თავით კი არა, ასი თავით სხვებზე უკეთესი უნდა იყო, რომ შენს წინაშე კარები გაიღოსო, გვეუბნებოდა. ის იყო ნოვატორი, ის ქმნიდა, იბრძოდა. დღეს მისი ხელი ძალიან გვაკლია.

მარინა შენგელია, აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების დაწესებულებებთან ურთიერთობისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: - გურამ ყურაშვილი სოხუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლში გავიცანი, იქ დაიწყო ჩვენი თანამშრომლობა. მახსოვს, იქ მან დადგა საბავშვო მიუზიკლი. გურამი, როგორც ხელოვანი, დიდი იყო, მაგრამ ის ასევე იყო კარგი მენეჯერი. კაპელას უწყობდა ბანაკებს, ცდილობდა, ბავშვებისთვის შეექმნა ყველა პირობა. მაშინ შენობის პრობლემა გვქონდა და თავდაუზოგავად იბრძოდა ამისთვის. კაპელის ოჯახის წევრებსაც კი ეხმარებოდა პრობლემების მოგვარებაში. თბილისშიც ასეთივე წარმატებით გააგრძელა მოღვაწეობა. დიდი მადლობა მას ყველაფრისთვის.

თემურ მჟავია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი: - ვიცნობდი მის შემოქმედებით საქმიანობას სოხუმშიც და თბილისშიც. მახსოვს, თბილისში მის პირველ რეპეტიციასაც კი დავესწარი. ბოროტი ადამიანები არ მღერიან, სიმღერა ნიშნავს კეთილშობილებას, სიკეთის ქმნას. ის სწორედ ასეთ საქმეს ემსახურებოდა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გურამის საქმე ღირსეულად გაგრძელდება.

გოგი ჩლაიძე, კომპოზიტორი: - აფხაზეთის საბავშვო ინტერნაციონალური კაპელა საერთაშორისო ფესტივალზე გავიცანი. მერე ის დაიშალა... წლების შემდეგ გურამმა დამირეკა და მითხრა, თუ გახსოვარო. რას ჰქვია არ მახსოვხარ-მეთქი. მას მერე დაიწყო ჩვენი საოცარი შემოქმედებითი და ადამიანური მეგობრობაც. ამ კოლექტივს აქვს გამორჩეული ხმოვანება. მოვისმინე ამ საღამოზე მათი ნამღერი. მას ახლა ზვიადი უდგას სათავეში და რაც მოვისმინე, იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ყველაფერი შენარჩუნებულია. დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო წინ წავლენ.

საღამოს გურამ ყურაშვილის ოჯახის წევრები და აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

P.S. 29 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გურამ ყურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი აუდიოდისკის პრეზენტაცია გაიმართება. დისკი აფხაზეთის მთავრობამ გამოსცა. აუდიოდისკში შევა აფხაზეთის საგუნდო კაპელის მიერ გურამ ყურაშვილის დირიჟორობით შესრულებული საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებები.

გიორგი შარვაშიძის პრემიის წლევანდელი ლაურეატები

სალომე თორია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია გაიცემა ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნებისა და პუბლიცისტიკის დარგში. **წლევანდელი წელი განსაკუთრებულად წარმატებული მხოლოდ მწერლებისთვის აღმოჩნდა.**

გ. შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამების შედეგად პრემიის ლაურეატები გახდნენ: **ჯემალ შონია** - ლექსების კრებულისათვის „წაუკითხავი„; **ნანა ქარდავა** - წიგნისათვის „სოხუმში, უსახელო ქუჩაზე„; **აზა ბასლანძე** - საყმაწვილო წიგნების სერიისათვის: „მომღერალი ფერები", „თეთრი ღრუბლები", „ოქროს თევზი" და „მხიარული ფიქრები".

22 დეკემბერს, ვ. არქანიას სახელობის არტ-გალერეაში გ. შარვაშიძის სახელობის პრემიის 2017 წლის ლაურეატების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ცერემონიალს გ. შარვაშიძის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ისტორიკოსი, აკადემიკოსი ოთარ ჟორდანია უძღვებოდა. მან პირველ რიგში მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს გაწეული საქმიანობისათვის და შემდგომ პრემიის ლაურეატებს მიულოცა ამ მნიშვნელოვანი პრემიის მიღება და ღირსეული გამარჯვება. მან გამაჯვებულებს გ. შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატის მოწმობა და სიგელი გადასცა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს თავად პრემიის ლაურეატებმა, რომლებმაც უპირველესად მადლობა გადაუხადეს კომისიის წევრებს მათი შემოქმედების აღიარებისთვის. აზა ბასლანძემ აღნიშნა, რომ ეს პრემია მისთვის დიდი პატივია, რადგან სოხუმში გ. შერვაშიძის ქუჩაზე ცხოვრობდა. იგი მომავალშიც ეცდება კიდევ უფრო მეტი ლექსი მიუძღვნას პატარებს.

ნანა ქარდავამ მწერლის დაუღალავ შრომაზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ იგი მხოლოდ აფხაზეთის თემაზე წერს და ამ ხაზს არც მომავალში გადაუხვევს.

როგორც ჯემალ შონიამ აღნიშნა, ეს მისი პირველი ჯილდოა და ძალიან მადლიერია ამ აღიარების გამო. როგორც კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ხუმრობით აღნიშნა, წიგნი „წაუკითხავი" კომისიამ წაიკითხა და როგორც ჩანს გულმოდგინედაც.

პრემიის მნიშვნელობაზე ისაუბრა კომისიის წევრმა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ჯემალ გამახარიამ და მან მომავლის პერსპექტივებიც გახაზა.

დიმიტრი (დიმა) ჯაიანი

1950-2017

67 წლის ასაკში, ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტი, სახელმწიფო, კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენისა და უკრაინის „პრესტიჟის" ორდენის კავალერი, „მაყურებლის სიმპათიის" პრიზის მფლობელი, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ნამყვანი მსახიობი, სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი ათეულობით წლების განმავლობაში, 1999–2004 წლების მონვევის საქართველოს პარლამენტის წევრი, 2013 წლიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი **დიმიტრი ჯაიანი.**

პატრიარქის სამძიმარი

დიდია ჩვენი და მთელი საზოგადოების გულისტკივილი ბატონ დიმიტრი ჯაიანის გარდაცვალების გამო. იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთგულად ემსახურა მოყვასსა და სამშობლოს და ღრმა კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო თქვენ მოგმადლონ ურყევი რწმენა იმისა, სიცოცხლე არ მთავრდება სიკვდილით, არამედ იგია დასაწყისი მარადიული ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომლისთვისაც ჩვენ ყველანი უნდა მოვემზადოთ. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

პატივისცემით,
ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

დიმიტრი ჯაიანი მთელმა ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ დაკარგა

მინდა ძალიან დიდი გულისტკივილით, უპირველესად, ბატონი დიმას ოჯახს, მის ახლობლებს მივუსამძიმრო. თუმცა, სრულიად გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ ეს სამძიმარი მთელ ქართულ თეატრალურ საზოგადოებას ეკუთვნის. ვფიქრობ, რომ საქართველომ ერთ-ერთი გამორჩეული მოქალაქე და გამორჩეული ადამიანი დაკარგა. ის, როგორც იცით, წლების განმავლობაში სოხუმის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო და მისი ყველაზე სანუკვარი ოცნება იყო, რომ სოხუმის თეატრს სოხუმში გაეხსნა ახალი სეზონი. დიმა ჯაიანი ამ ოცნების ახდენას ვერ მოესწრო, თუმცა მჯერა, ეს აუცილებლად და თანაც მალე მოხდება.

მიხეილ გიორგაძე,
საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის მინისტრი.

მართალი და მადლიერებით სავსე კაცი

დიმიტრი ჯაიანი დიდი მსახიობი და დიდი საზოგადო მოღვაწე იყო!

ის ყოველთვის გულით ამბობდა თავის სათქმელს დევნილთა პრობლემებზე თუ ქვეყნისთვის საჭირბოროტო სხვა საკითხებზე. ბოლომდე იხარჯებოდა როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში. ჩვენს თვალწინ იწვებოდა სცენაზე, შეიძლება ითქვას, რომ იფერფლებოდა! ყოველთვის მიკვირდა, როგორ უძლებს ამდენ ემოციას, ამდენ გულწრფელობას მისი მტკივანა გული-მეთქი.

დიმიტრი ჯაიანი კი არ თამაშობდა, არამედ ცხოვრობდა სცენაზე. ის ქართული თეატრალური საზოგადოების ნაწილი კი არ იყო, არამედ მის ნაწილად რჩება. მან სიკვდილზე გაიმარჯვა თავისი საოცარი გმირებით, რომლებსაც სცენაზე განასახიერებდა. ის საოცარი პასუხისმგებლობა, რომელიც მას ახასიათებდა ცხოვრებაში, მის მიერ წაკითხული ლექსების სულისკვეთებაშიც ჩანს. ყველა მის მიერ წაკითხულ ლექსში არის რწმენა იმისა, რომ საქართველო გაბრწყინდება, საქართველოს უკეთესი მომავალი ექნება, ვიდრე დღეს აქვს.

ბოლო დროს თავის რეპერტუარს მურმან ლებანიძის მიერ გურამ თიკანაძისადმი მიძღვნილი ლექსი შემატა: „ვოი! რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!", რომელსაც განსაკუთრებული ემოციით კითხულობდა. წარმოდგენილი მაქვს, როგორი საშინელი იქნებოდა მისი მოუსვენარი სულისა და სხეულისათვის სიკვდილი ლოგინში, თანაც თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

სცენაზე ბობოქარი დიმიტრი ჯაიანი მორცხვი და თავმდაბალი იყო როგორც მთავრობის წევრი, ამასთან ძალიან პრინციპული, როდესაც საკითხი ეხებოდა იმ სფეროს, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, კერძოდ, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, რომ ასეთი კარგი მინისტრი იქნებოდა და დღეს თუ სოხუმის თეატრს, აფხაზეთის კაპელას და აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს საკუთარი სარეპეტიციო დარბაზები აქვთ, აფხაზეთის მხატვრებს კი საგამოფენო სივრცე, ეს მისი დამსახურებაა.

დიმა იყო კაცი, რომელიც არასოდეს ივიწყებდა არც ერთ კეთილ სიტყვასა თუ საქმეს. არ ივიწყებდა გიგა ლორთქიფანიძის შეთავაზებას, რომელმაც სოხუმიდან ჩამოსულს თავისი პირადი კაბინეტი დაუთმო რეპეტიციებისათვის; არ ივიწყებდა რობერტ სტურუას, რომელმაც ცხრა წლის განმავლობაში შეიკედლა გამსახურდიას სახელობის დევნილი თეატრი.

ვრწმუნდები, რომ ჩვენ ბოლომდე გაცნობიერებული არა გვაქვს, როგორი ადამიანი დავკარგეთ. მას არ უცხოვრია უსამართლოდ, არ უცხოვრია ანგარებით, ხალხმა კი ეს დააფასა და უკანასკნელ გზაზე ისე გააცილა, როგორც მხოლოდ ღირსეულ ადამიანებს შეეფერება.

ჩემო დიმა, შენ იყავი მართალი და მადლიერებით სავსე კაცი, ყოველთვის გულით მოგქონდა სათქმელი ჩვენამდე და ალბათ, ამიტომაც გამოგდიოდა ასე კარგად ყველაფერი. და მე, როგორც ერთმა ადამიანმა, მადლობა მინდა გითხრა ამისთვის, მადლობა გითხრა ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანის ერთგულებისათვის.

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა!

ვახტანგ ყოლბაია,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

ქართველი რაინდი

აფხაზეთიდან დევნილ საზოგადოებას იმედიანად შემძახებელი კაცი დააკლდა, აფხაზეთს კი ერთი ჭირისუფალთაგნი.

დიმიტრი ჯაიანი დაიბადა 1950 წელს სენაკში, პედაგოგების ოჯახში. სენაკის საშუალო სკოლის ოქროსმედალოსანი ჭაბუკი ლიტერატურისა და ხელოვნების სიყვარულმა საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში მიიყვანა, სადაც მან სამსახიობო ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი მისმა რექტორმა ილია თავაძემ და ლეგენდარულმა საშა მიქელაძემ (როგორც მას დიმა ჯაიანი მოიხსენიებდა) რუსთავში განაწილებულ დიმიტრი ჯაიანს მოულოდნელად სოხუმში წასვლა შესთავაზეს. როგორც ჩანს, გამჭრიახი გონების ადამიანები უკვე მაშინვე გრძნობდნენ დიმიტრი ჯაიანის ხასიათის განსაკუთრებულ შტრიხებს - შეუპოვრობასა და სიმტკიცეს, რომელიც აფხაზეთში ეროვნული იდეების სათავეებთან მდგარ სოხუმის თეატრს განსაკუთრებით სჭირდებოდა. ამ დღიდან დიმიტრი ჯაიანის ცხოვრება და საქმიანობა განუყოფელი ნაწილი გახდა აფხაზეთის კულტურული ცხოვრებისა, რომელსაც მან გაუხუნარი და წარუშლელი ფურცლები შემატა. პიროვნული ხიბლით გამორჩეული, ქარიზმატული, უმშვენიერესი ქართველი რაინდის დარი გარეგნობის პიროვნება, გამოკვეთილი ინდივიდუალობისა და ცხადი თვითმყოფადობის მქონე მსახიობი, ასეთი უყვარდათ და ეძვირფასებოდათ დიმიტრი ჯაიანი იქ სოხუმში თუ მერე აქ, თბილისში შეძენილ ერთგულ მაყურებლებს. მის მიერ განსახიერებული საინტერესო და მრავალფეროვანი სახეებიც სოხუმსა თუ თბილისში: მეფე გიორგი, ჰოკონ ჰოკონსენი, ელიზბარ ერისთავი, ოთარ-ბეგი, კორიოლანოსი, ზურაბი, ლადო ასათიანი... მკვეთრი ქართული სათქმელით იყო აღბეჭდილი და ქართული თეატრის საგანძურში დარჩება მარად. მისი ხელოვნება აღიარებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, სადაც სოხუმის თეატრს მრავალჯერ წარმოუდგენია სპექტაკლები გასტროლებსა თუ საერთაშორისო ფესტივალებზე.

დიმიტრი ჯაიანი იყო უდიდესი პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანი, რომელიც თავის სათქმელს როგორც როლებით, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამოხატავდა. მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება სოხუმის თეატრს უკავშირდებოდა, რაც ძალიან ეამაყებოდა. სცენიდან ხშირად აცხადებდა კიდეც, რომ მას სოხუმის თეატრის გარდა, სხვაგან არსად უმუშავნია. ამბობდა, რომ სოხუმის თეატრი კაცების თეატრი იყო, ისევე როგორც თავად სოხუმი იყო კაცების ქალაქი. თქვენ გამიგებთ, რასაც ვგულისხმობო, დასძენდა და არაერთ ნათელ სახეს ჩამოთვლიდა. ახლა ყველასთვის საცნაური ხდება, რომ იმ კაცთაგან ერთ-ერთი თავად იყო.

სოხუმის თეატრის დევნილობაში ფეხზე დაყენებისა და მისი წინამძღვრობის მისიაც განგებამ მასვე დააკისრა იმ უმძიმეს პერიოდში, როცა ყოველდღიურობის თანამდევი პრობლემაც მრავლად იყო.

ცალკე უნდა აღინიშნოს დიმიტრი ჯაიანის როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის როლი. აქ მუშაობისას განსაკუთრებულად გამოიკვეთა მისი მენეჯერული ნიჭიც. მან მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა სამინისტროს განახლებისა და აღორძინების გზაზე და თავისებური ხიბლი შესძინა აფხაზეთიდან დევნილი კულტურული კოლექტივებისა და ხელოვანების შემოქმედებით საქმიანობას. ღირსეული კვალი გაავლო ამ თვალსაზრისითაც. მასზე კიდევ ძალიან ბევრის თქმა შეიძლება, თუმცა ისედაც ბევრს ამბობს მის მიერ განვლილი ცხოვრება, რომელზეც ხვალ კიდევ უფრო მეტი ითქმება. ბოლო წლებში ცნობილი ქართველი პოეტების შემოქმედებაში საგანგებოდ არჩევდა თითქოს იმედითა და შემართებით სავსე ლექსებს, რომელიც ქართველ მაყურებელს, დევნილ თუ არადევნილ საზოგადოებას დადებითად მუხტავდა და მომავლისადმი იმედით განაწყობდა. ამიტომაც იყო, რომ შოთა ნიშნიაძის ლექსი „აფხაზური კანტატა“ მისთვის ერთგვარ საპროგრამო ლექსად იქცა. „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“, უდიდეს დატვირთვას სძენდა ამ სტრიქონებს, რომელიც თითქოს გაღმა დარჩენილ აფხაზებსაც ეკუთვნოდა და ამ შეძახილით მათაც აწვდენდა ხმას.

მაყურებელი თავად იყო მოწმე, როგორ იწვოდა დიმიტრი ჯაიანი სცენაზე და ბევრს უკვირდა კიდეც, როგორ უძლებდა ამდენ ემოციას, ამდენ გულწრფელობას მისი მტკივნეული გული. ის სცენაზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა და ბოლომდე მიჰყვებოდა მაყურებელიც, რომელსაც მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. ამიტომაც იმატა კიდევ უფრო წლების შემდეგ მისი გამოსვლისას ტაშმა და ოვაციებმა. დიმიტრი ჯაიანს ბოლო პერიოდში განსაკუთრებული გულჩვილობა დასჩემდა, ცრემლების გარეშე ვერ ლაპარაკობდა ვერც სევდიან და ვერც კარგ ამბებზე. ახლაღა ვხვდებით, რომ ეს ერთგვარი წინათგრძნობა იყო, ერთგვარი სინანული ნაადრევად გასვლისა ამ წუთისოფლიდან, სადაც ჯერ კიდევ ბევრი დარჩა გასაკეთებელი. დღეს მას მიჰყვება თითოეული ჩვენგანისა და ურიცხვი გულშემატკივრის ცრემლები. მსუბუქი იყოს მისთვის მისი უსაყვარლესი სამშობლოს მიწა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის სამინისტრო

სოხუმის თეატრს დიდი მფარველი დააკლდა

ამ დღეებში ჩვენ გამოვემშვიდობეთ უდიდეს მსახიობს, გამორჩეულად დიდბუნებოვან პიროვნებას ბატონ დიმიტრი ჯაიანს. რუსთაველის თეატრში ორი დღის განმავლობაში მასთან გამოსამშვიდობებლად უამრავი ადამიანი მოვიდა, რამაც ცხადყო, როგორ უყვარდა იგი ჩვენს ხალხს, საზოგადოებას. აქ მოსული ადამიანები უსამძიმრებდნენ მის ოჯახს, მეგობრებს, თანამოაზრეებს, თანამებრძოლებს. მათ შორის ეს სამძიმარი მეკუთვნოდა მეც, როგორც სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს. თეატრისა, რომელიც ბატონმა დიმამ გადაარჩინა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და მოიტანა დღემდე. ამიერიდან ჩვენმა თეატრმა დაკარგა დიდი მფარველი, მედროშე, ფარი. თუმცა ამავე დროს ის შეუერთდა იმ დიდ სახელებს, იმ დიდ ვარსკვლავთა კოჰორტას, რომლებიც ზეციურ საქართველოში იმყოფებიან.

ჩვენი თეატრის სახელით მინდა ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა რუსთაველის თეატრს, ბატონ რობერტ სტურუას, ბატონ გია თევზაძეს. ჯერ ერთი, ვინ არ იცის, რომ მაშინაც, როდესაც ომიდან დაბრუნდა სოხუმის თეატრი, ამ თეატრმა შეიფარა იგი, ცხრა წელი აქ მოღვაწეობდა ბატონი დიმა და უკანასკნელ გზაზეც ამ თეატრმა გააცილა.

ბატონო დიმა, დიდი სიყვარული დაგვიტოვეთ და ამ სიყვარულს ვატარებთ ამაყად. გპირდებით, რომ ჩვენი თეატრი და არა მარტო ჩვენი თეატრი, მთელი საზოგადოება თქვენ სახელს არ დაივიწყებს, თქვენს სიყვარულს ქვეყნისადმი საქართველო არ დაივიწყებს.

დავით საყვარელიძე,
კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის
სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

დიმა სიცოცხლის კაცი იყო

დიდი სიცარიელე დატოვა, იმიტომ, რომ დიმა თავისი შემოქმედებითი მუხტით, თავისი ენერგიით, თავისი გულწრფელობით განუმეორებელი მსახიობი იყო. მან შექმნა თავისი სახე, თუ შეიძლება, ასე ითქვას, თავისი ნიშა. ნიშა, რომელსაც დიდ ხანს ვერ შევავსებთ, ამ მიმართულებით მემკვიდრე არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვხედავ. ჩვენი ბოლო საუბარი იყო ისევ შემოქმედებაზე, ისევ იმაზე, რა გაგვეკეთებინა და როგორ. დიმა სიცოცხლის კაცი იყო. ძალიან დიდი საყრდენი გამოგვეცალა ყველას ერთად. უკვე ძალიან დამაკლდა და ყველაფერი მახსენდება, სოხუმის დღეები, როგორ განვლეთ, როგორ გავიარეთ იმ ლამაზ ქალაქში, მერე თბილისში, დევნილობისას.

გურამ ოდიშარია, მწერალი.

აიეტისა და ფარტაძის შთამომავალი

ბატონო დიმა, ციხე, რომელშიც მამულიშვილი ნებით ჩაეკირება, დაუნგრეველი და შეუმუსვრელია. აი, თქვენ ბრძანდებით სწორედ ის მამულიშვილი, რომელიც ამ ციხეში ჩაეკირა. ბატონო დიმა, თქვენ ბრძანდებოდით საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული კუთხიდან, კოლხეთიდან და შეიძლება ითქვას, რომ თქვენ იყავით იმ დიდი ორატორების - აიეტის და ფარტაძის დიდი შთამომავალი; უბადლო თამადა, მომლხენი, დიდი მელექსე, დიდი მესიტყვე, უნიჭიერესი მსახიობი. მახსოვს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენდები როგორ ჩამოვდიოდით სოხუმში სპექტაკლის სანახავად და ბატონო დიმა, თქვენ თამაშობდით სცენაზე, ქმნიდით დაუვიწყარ სახეებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თქვენი თამაში სცენაზევე მთავრდებოდა, ცხოვრებაში უკვე აღარ გრძელდებოდა იგი.

პატარა ლექსი მაქვს მე ერთ-ერთი დიდი ქართველი მამულიშვილისადმი მიძღვნილი:

ზიხარ ზერდაკზე და სადღაც მიჰქრი,
დარდს როგორც რკინას კვნეტავ,
აქაობიდან გადიხარ იქით
და საუკუნის კარიბჭეს კეტავ.

დაიკეტა, ბატონო დიმა, თქვენთვის საუკუნის კარიბჭე, მაგრამ ერთს გპირდებით, საქართველო რომ გამთლიანდება, როცა უკვე აფხაზი, ქართველი და ოსი ერთად დაიწყებენ ცხოვრებისეული უღლის წევას, მოვალთ თქვენს საფლავთან, ჩაგძახებთ ამ ბედნიერებას, რომელიც ჯავრად ჩაგყვათ საფლავში და გვჯერა, რომ თქვენი ძვლებიც იგრძნობენ ამას.

ერეკლე საღლიანი, პოეტი.

ის აფხაზეთის ნათება იყო

უპირველესად, მიხარია, რომ რუსთაველის თეატრი ვალში არ არის დიმა ჯაიანის წინაშე, ჩვენთვის ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა. დიმა ჩვენთან ცხრა წელიწადი ცხოვრობდა როგორც დიდი შემოქმედი, როგორც დიდი მეგობარი, როგორც სიცოცხლით სავსე ადამიანი, თავისი ესთეტიკით, სილამაზით, არაჩვეულებრივი პატრიოტიზმით, მოქალაქეობით.

დიმა იყო გამორჩეული მსახიობი, მას ყოველთვის განსაკუთრებით აღელვებდა ის ლექსები, ის როლები, რომელშიც სწორედ საქართველოს სათქმელი იდო. დიმა იყო ის მსახიობი, ის გამორჩეული პიროვნება, მოქალაქე, რომელსაც საოცრად სტკიოდა. ვფიქრობ, დიმა საოცრად ბედნიერი იქნებოდა, რომ შეძლებოდა გადაეხედა, რა ხდებოდა რუსთაველის გამზირზე, რამდენ ადამიანს უნდოდა, დიმას მოფერებოდა, მისთვის ბოლო სიტყვა ეთქვა და გამომშვიდობებოდა. თუ სიტყვებით არა, თვალებით ეთქვა სათქმელი და ეს იმიტომ, რომ დიმა ყველას უყვარდა.

დიმა იყო გამორჩეული პიროვნება, საოცარი ემოციურობით სავსე ადამიანი და ალბათ ამანაც იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე. ჩვენ რუსთაველის თეატრი საოცრად ვგლოვობთ, ვგლოვობთ და ღირსეულადაც გავაცილეთ იგი ჩვენი საოცარი ისტორიული კედლებიდან, რადგან დიმა იყო ამისი ღირსი. ის აფხაზეთის ნათება იყო, ის ჩვენი ქვეყნის ნათება იყო. მე ვემშვიდობები დიმას, მაგრამ ის ყოველთვის ჩვენთან იქნება.

ნანა ფაჩუაშვილი, მსახიობი.

სცენის რაინდი

მან ბევრი რამე გააკეთა როგორც მსახიობმა, როგორც მოქალაქემ, როგორც პატრიოტმა. იყო ძალიან საინტერესო კაცი, პოეზიის მოყვარული, კარგად კითხულობდა, უყვარდა თავისი ქვეყანა, სხვისი წარმატება უხაროდა. ეს ყველას არ შეუძლია. ათი წელიწადი ბოლომდე ჩემს გვერდით იყო.

და მადლობა მინდა ვუთხრა რუსთაველის თეატრს, რომელმაც ბოლომდე გაუღო კარები დიმა ჯაიანს. დიდი მადლობა მის ხელმძღვანელს, რომ ეს გააკეთა. მინდა ვთქვა, რომ იმ დღეს ძალიან დიდი რამ მოხდა საქართველოში. ყველამ გაიგო იმისი ფასი, რაც ჰქონდა დიმა ჯაიანს და ყველამ კიდევ ერთხელ ვაღიარეთ, რომ ის იყო სცენის ნამდვილი რაინდი.

გიორგი ქავთარაძე, რეჟისორი.

მას მთელი სანაპიროს თვალები მოაცილებდა

სოხუმში ვართ მივლინებით მე და ერთ-ერთი განყოფილების გამგე, სანდომიანი ქალბატონი ლამარა დიასამიძე. მე ადრე გამოვედი და სასტუმროს წინ ლამარას ველოდები. ახლოს ავტობუსი გაჩერდა. გადმოვიდა ხალხი, უმრავლესობა ქალები. მერე გავიგე, პოლონელები ყოფილან. ვათვალიერებ, ვხედავ ეს ქალები დიდი ინტერესით იყურებიან ჩემს მხარეს. მივხვდი, ჩემს უკან მიშტერებიან რაღაცას. მივბრუნდი. ახალგაზრდა კაცი მოდის. შავი პალტო აცვია, თეთრი კაშნე უკეთია, ლურჯი თვალები აქვს, თამბაქოს ჩიბუხით ეწევა. მოდის და კაცის სილამაზე მოაქვს. გასცდა ქალებს და ახლა საპირისპიროდ მიტრიალდნენ თავები. ეს დიმა ჯაიანი იყო.

მანან ამირეჯიბი

თეთრი ჩოხით სოხუმის სანაპიროზე...

სტუდენტობიდან მახსოვს მისი როლები ქართული და აფხაზური თეატრების სცენებზე, მახსოვს, როგორ თამაშობდა აფხაზურენოვან სპექტაკლებშიც, თავიდან მისი ხათრით დავდიოდით აფხაზურ თეატრში.

...მახსოვს მისი მეფე გიორგი და იულიუს ცეზარი, ცეცხლოვანი გამოსვლები მიტინგებზე... ხშირად იმეორებდა - „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“.. ბოლო 24 წლიანი ისტორია ადასტურებს, რომ მართალი იყო პოეტიც და მსახიობიც. სოხუმში დიმა ჯაიანს თბილისური კოლორიტის მატარებელს ეძახდნენ, მაგრამ... თბილისში სოხუმზე უსაზღვრო მონატრების მატარებელი ქართველი იყო. ერთხელ გადაცემაში მიმიწვია... ვისაუბრეთ, რა თქმა უნდა, სოხუმზე და აფხაზეთზე, ჩვენს სატკივარზე. უსოხუმოდ ვიხრჩობიო მითხრა, ცრემლები მოადგა და მეც ამატირა... და ამ მონატრებით წავიდა ამ ქვეყნიდან.

ჩემი თაობის ხსოვნაში ის დარჩება როგორც ემოციური, მაგრამ გულწრფელი ქართველი - თეთრი ჩოხით სოხუმის სანაპიროზე.

ლია ახალაძე,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ის, რასაც „ასე დამაჯერებლად“ ვერავინ იტყოდა...

„კიდევ კარგი, რომ ბენეფისის გამართვა მაინც მოვასწარი!“ - უთქვამს დიმა ჯაიანს გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე.

და მართლაც, იშვიათად, ადამიანს ასე მასშტაბურად, საინტერესოდ და ამაღელვებლად შეეჯამებინოს საკუთარი ცხოვრება და საქმიანობა ამ წუთისოფლიდან გასვლამდე სულ ორიოდე თვით ადრე, ანგარიში ჩაებარებინოს არა მხოლოდ მაყურებლისთვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც...

დიმა ჯაიანის ბენეფისს რაღაც უჩვეულო ელფერი დაჰკრავდა...

მხოლოდ მოგვიანებით გახდა საცნაური, რომ ამის მიზეზი თურმე იქვე ჩასაფრებული სიკვდილი ყოფილა, რომელსაც როგორც ჩანს, სადღაც ქვეშეცნეულად, სასწაულებრივი ძალით თავად ბატონი დიმაც გრძნობდა და, რომელსაც ვაჟა-ფშაველას სიტყვებით შეეხმიანა კიდეც: „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა!..„

მერე კი დიმიტრი ჯაიანის გამორჩეული პორტრეტი კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა სწორედ სიკვდილმა - მისი გასვენების დღემ, რუსთაველის თეატრში სამძიმრის სათქმელად მოსულმა ზღვა ხალხმა და შეუმშრალმა ცრემლებმა.

იმ დღეს სიკვდილმა თავად ითქვა ის, რასაც მანამდე „ასე დამაჯერებლად“ ვერავინ იტყოდა...

ნატო კორსანტია, ჟურნალისტი.

მადლობა ძმობისათვის!

მე მინდა სამადლობელით დავიწყო. ჩემო დიმა, ღმერთს მინდა, უპირველესად, ვუთხრა მადლობა შენი გაჩენისთვის და მერე შენ გითხრა მადლობა ძმობისთვის, იმ უშურველი დამოკიდებულებისთვის, რასაც იჩენდი მეგობრების, განსაკუთრებით კი ჩემს მიმართ. ორმოც წელზე მეტია, რაც ჩვენ მეგობრები და ძმაკაცები ვართ. ჩვენ სოხუმში, ერთ თეატრში, დავიწყეთ მუშაობა. ინსტიტუტშიც ერთად ვსწავლობდით. ძალიან ლამაზი წლები გვაქვს გატარებული, ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შენი ძმაკაცი ვიყავი და კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გითხრა, რომ ასეთი ძმობა გამიწიე.

და, ბოლოს, მინდა მივუსამძიმრო მთელ საქართველოს, ასეთი ადამიანების წასვლით ერი ნელ-ნელა ობლდება და ღმერთს შევთხოვ, შენნაირი კაცები არ გამოულიოს ჩვენს ქვეყანას. ნათელში იყოს შენი ლამაზი და ბობოქარი სული.

ნუგზარ ყურაშვილი, მსახიობი.

მას ძალიან უყვარდა თავისი ოდაბადე - სენაკი

ძალიან მძიმეა ჩემთვის ვისაუბრო წარსულში ადამიანზე, რომელიც ძალიან გიყვარდა, ადამიანი, რომელმაც დატოვა უდიდესი ისტორია კაცობისა, ადამიანობისა და პროფესიონალიზმისა.

ბატონი დიმა წარმოშობით სენაკელი იყო და ყველა მისმა ახლობელმა ძალიან კარგად იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვნი იყო მისთვის სიტყვა ოდაბადე, რომელიც მას ფანატიკურად უყვარდა. მე ვარ იმ თაობის წარმომადგენელი, რომელიც ახალგაზრდობაში ხშირად დადიოდა სოხუმში. დიმა ჯაიანი მე პირველად სოხუმში ვნახე... დაუვიწყარია მის მიერ შესრულებული როლები და დაუვიწყარია, რომ როცა ის სენაკის, აკაკი ხორავას სახელობის თეატრის სცენაზე გამოჩნდებოდა, ყოველთვის იწყებოდა თეატრალური ზეიმი. ის საერთოდაც იყო ადამიანი, რომელიც სცენაზე მუდამ ზეიმს აწყობდა.

მინდა უპირველეს ყოვლისა, ჩემი ბავშვობის მეგობარს, ჯაბას მივუსამძიმრო, მივუსამძიმრო სენაკს, მივუსამძიმრო საქართველოს, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირს. საქართველომ კიდევ ერთი დიდი ადამიანი დაკარგა. ბატონო დიმა, თქვენ მუდამ დარჩებით ჩვენს გულებში, ჩვენს თეატრში ყოველთვის იქნება სავარძელი, რომელსაც დიმა ჯაიანის სავარძელი ერქმევა.

ირაკლი ძაძამია, სენაკელების სახელით

ეროვნული თვითშეგნების მსახიობი

დიმა გავიცანი სოხუმში, როდესაც ის განაწილებით მოხვდა სოხუმის ი. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრში. მშვენიერი შეხედულების ახალგაზრდის გამოჩენა ქალაქის ყურადღებას არ გამოჰპარვია, ხოლო პირველივე სპექტაკლიდან, სადაც ის ალალ ბიჭს ყარამანს თამაშობდა, მას ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. ჩვენს წრეში დიმა მისმა თანაკურსელმა, ჩვენი ბავშვობის მეგობარმა, ცხონებულმა გიზო სირაძემ მოიყვანა. ასე რომ ჩვენი ურთიერთობა ორმოც წელზე მეტს მოიცავს.

დიმაზე როგორც მსახიობზე, ყველაზე მეტად ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში მიღებული სახალხო მსახიობის წოდება მეტყველებდა. ჩემი აზრით, დიმას როგორც ძალიან ტრადიციულ ადამიანს, „ქართული“ როლები ყველაზე უკეთესად გამოსდიოდა, ამიტომაც არ ჩამოდიოდა სცენიდან. არ შევეცდები თუ ვიტყვი, რომ ერთ-ერთი საუკეთესო იყო ქართული პოეზიის ცოდნაში და მის გახმოვანებაში.

დიმა ჯაიანი მძაფრი ეროვნული თვითშეგნების პიროვნება იყო. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დიმას, მის შვილს - ჯაბას და მთლიანად ოჯახს სოხუმი უმძიმეს განსაცდელშიც არ მიუტოვებია. ისინი, როგორც რიგითი ჯარისკაცები, ისე ედგნენ ქალაქს გვერდით, ტრაგედიის ბოლო წუთამდე.

გასახსენებლი ძალიან ბევრია, მაგრამ მინდა დიმას მინისტრად დანიშვნის მომენტს შევეხო. „ბიჭო“ , დიმა, მეფე გიორგი იყავი და ის გშვენოდა და ერთი მინისტრის როლის შესრულება, აბა, რა ბედენაა-მეთქი. და მართლაც, დიმა როგორც მინისტრი ახალი ინციატივის წამომწყები გახდა, სამინისტროს აშკარად დაატყო ხელი, კიდევ ბევრის გაკეთება ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ სამწუხაროდ, არ დასცალდა.

გია გვაზავა,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

მარილის ქვები

დიმიტრი ჯაიანს

არც მწუხარება, არც სიკვდილი მაკვირვებს უკვე,
ეს ყველაფერი განვიცადე განგების ნებით,
ვით მენავენი ერთმანეთში იყოფენ ლუკმას,
ისე ვიყოფდი ურვას და ჩემი მკვდრებით
ოფლად დაღვრილი დავდიოდი საწუთროს გზებზე,
საკუთარ განცდებს გიმალავდი, ვით მამის ცრემლებს,
ხერხემლის ძვლებით, ფერით ვგრძნობდი მშობლიურ ველებს,
ტყის სიახლოვეს მდინარეში ვიჭერდით თევზებს,
სოფლის მღვდელივით მოკრძალებით ვიყავი უბრად,
გულნატყვიარი გავყურებდი უბიხურ ქედებს.
კალდახვარასთან უცნაური ისმოდა ხმები,
თითქო მეზღვაურთ გადაჰქონდათ მარილის ქვები,
ვფიქრობდი შენზე - საქართველოს უბედურ ბედზე.

გენო კალანდია, პოეტი.

ის ჩვენს დიდ წინაპრებს შეუერთდა

დიმა ჯაიანთან ორმოცი წლის მეგობრობა მაკავშირებდა. აფხაზეთის ომის დროს დიმა ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, რამდენჯერმე ჩემთან სახლშიც გაათენა ღამე და მახსოვს, რა ემოცია და მღელვარება ჩამოჰქონდა, მთელ ოჯახს გადმოგვდებდა ხოლმე. მისი რამდენიმე პორტრეტი მაქვს შესრულებული, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია დემეტრე თავდადებული, რომლის პროტოტიპადაც დიმა ჯაიანი დავისახე, სწორედ დიმას იერ-სახიდან გავაკეთე ეს პორტრეტი. ამიერიდან ის შეუერთდა იმ დიდ წინაპრებს, რომელთაც ის ანსახიერებდა. მას სწორედ ჩვენი დიდი წინაპრები შეეგებებიან და იმ ღირსეულ ადგილს მიუჩენენ, რომელიც ეკადრება ისეთ პიროვნებას, ისეთ კაცს, ისეთ მოქალაქეს, ისეთ მსახიობს, თავისი სამშობლოს ისეთ მოყვარულს, როგორიც დიმა ჯაიანი იყო.

გიორგი გეგეჭკორი, მხატვარი.

დიმიტრი ჯაიანი:
სოხუმში მზე სხვანაირად ამოდიოდა...

8-9 წლის ვიქნებოდი, სოფელ ლეძაძამეში ვიყავი. იქ ერთი კაცი ცხოვრობდა, კუკუ გოგია. დურგალი იყო. იმდენად საინტერესო ცხოვრება ჰქონდა გავლილი, ძალიან მინდოდა ჭაბუა ამირეჯიბისთვის გამეცნო, მაგრამ ვერ მოვასწარი, გარდაიცვალა...

კუკუ სახლს ხურავდა ყავრით. მეზობლები ეხმარებოდნენ. ბავშვები ვთამაშობდით მისი სახლის სიახლოვეს... შარაზე კაცი მოდიოდა. თვალნათლივ მახსოვს მისი გარეგნობა. ვერცხლის ქამარი ეკეთა და სვანური ქუდი ეხურა, ზურგზე ყაბალახი ჰქონდა გადადებული. მიესალმა ეს კაცი მომუშავეებს. ისინიც მიესალმნენ. მივხვდი, ერთმანეთს არ იცნობდნენ. წამოვიდა ეს კაცი, სადაც ჩვენ ვთამაშობდით, იქ დადგა, პირი აღმოსავლეთისკენ ქნა და თავისთვის მეგრულად ჩაილაპარაკა: - ღმერთო, ამ საღამოს დარი ქენიო. პირჯვარი გადაიწერა და წავიდა. არავის არაფერი გაუგია. მე გავიგონე მხოლოდ მისი სიტყვები... თუ თამადობა მომიხდა, იმ კაცის სადღეგრძელოს აუცილებლად ვსვამ. ერთი შეხედვით, ეს უბრალო ამბავი ჩემი ცხოვრების კრედოდ იქცა.

ჯაიანები თავადები იყვნენ, მაგრამ ხომ გახსოვთ, რა დრო იყო. მამაჩემი რამე დოკუმენტს რომ ავსებდა, წერდა, გლეხის ოჯახში დავიბადეო. მამის მხრიდან ბაბუაჩემი დახვრიტეს.

სენაკში დედაჩემის მშობლები ცხოვრობდნენ - შალვა და ოლღა დგებუაძეები. სკოლა სენაკში დავამთავრე. მამაჩემი იყო ჩვენი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და ისტორიის მასწავლებელი. თქვენობით გველაპარაკებოდა შვილებს და შვილიშვილებსაც. არ მინახავს, პერანგის საყელო შეხსნილი ჰქონოდა... მოსწავლეებს ბატონობით მიმართავდა.

კალათბურთს ვთამაშობდით ქალაქის ნაკრებში. დილის 6 საათზე მივდიოდი სპორტულ დარბაზში სავარჯიშოდ. იქიდან - სკოლაში. დილით შინიდან რომ გავდიოდი, მამაც ფეხზე იყო. ერთხელ კანკალით ვთხოვე: უკაცრავად, მაგრამ თქვენი გაკვეთილის სწავლა ვერ მოვასწარი და არ გამომიძახოთ-მეთქი. კლასში 40 ბავშვი ვიყავით, თანაც ჩემი შეყვარებულიც ჩვენ კლასში სწავლობდა. შემოვიდა მამა და გამომიძახა. დამაკიდებინა საქართველოს რუკა და ბავშვებს მიმართა: - ბატონებო! ამ ყმაწვილმა დილით იცით რა მაკადრა? გაკვეთილი არ ვიციო. ორიანი დამიწერა და კლასიდან გამაგდო.

მეათე კლასში რომ ვიყავი, ბაბუამ სუფრა გამიწყო და მთელი კლასი მოვიწვიეთ. თამადად მე დამნიშნეს. ბაბუას ერთი მეგობარი ჰყავდა, გრიშა ჩემია. სენაკში ის და ბაბუაჩემი დადიოდნენ მხოლოდ ჩოხა-ახალუხით. გამარჯობის სადღეგრძელო ვთქვი და დავძინე, გრიშა ბიძიას გაუმარჯოს, საოცარი გამარჯობის თქმა იცის-მეთქი. ეწყინა ბაბუას... გამარჯობა ყველა კაცმა უნდა თქვას, მაგით რომ აღნიშნავ გრიშას კაიკაცობას, რა სათქმელია, გრიშა სხვა თვისებები აქვს ისეთი, რომელზეც შეიძლება ილაპარაკოო. რაღაც არ არის საქმე კარგად, გამარჯობა რომ მოგენატრაო. ახლა ვფიქრობ, ნეტა გადმოახედა ბაბუაჩემს და დღევანდელი საქართველო ანახა, თუ გამამტყუნებდა, იმ სადრეგრძელოს რომ ვსვამდი.

მაია მიქაიას ბავშვობამ გალში, სტუდენტობამ კი სოხუმში გაიარა. პირველი სამუშაო ნათლობაც გალში მიიღო: გალის რაიონული გაზეთის კორესპონდენტი და გალის რადიოს რედაქტორი იყო. პროფესიით ფილოლოგი, ჟურნალისტი და სამართალმცოდნეა.

დევნილობამ თბილისში გადატყორცნა და დიდი ტკივილთან ერთად მალე დიდი სიყვარულიც აწვია.

ლექსებს ბავშვობიდან წერს და როგორც ყველას, მასაც პირველი ლექსი სიყვარულმა დააწერინა. ახლა უკვე ლექსების სამი კრებულის ავტორია: „მონოლოგი ტკივილთან“ (1995 წ.); „შურიმშინე“ (2013 წ.); „სულისცალი“ (2017 წ.). ფიქრობს, რომ „წიგნიდან წიგნამდე იცვლება, იზრდება, გამოცდილებას იძენს, უმეტესად ტკივილიანს, მაგრამ მაინც, ალბათ, აუცილებელს ახალი ლექსების შესაქმნელად“. და ამგვარი „ცვლა და ზრდა“ მის ყოველ ახალ წიგნს ეტყობა კიდეც.

მაია მიქაია რამდენიმე კონკურსის ლაურეატია, მათ შორის ქრისტიანული პოეზიის ფესტივალისა. ამ ფესტივალზე ლექსმა „წმინდა ნინოს ჯვარი“ გაამარჯვებინა და ეს ლექსი მისმა მკითხველებმაც აიტაცეს. კონკურსმა „ხვარამზეობამაც“ განსაკუთრებულად გაახარა, როცა მისი ლექსი „შურიმშინე“ პრემირებული გახდა. თავისი პოეზიიდან ყველაზე მეტად სწორედ ეს ლექსი უყვარს, ამ სიტყვის მნიშვნელობის გამოც, შურიმშინე ხომ ლაზურად სულის მახსენებელს ნიშნავს. მას მერე მაიას ზოგი მეგობარი ზედმეტსახელად შურიმშინესაც კი ეძახის.

მშობლიური ქალაქისა და სახლის, მშობლიური ადამიანების მონატრება მუდამ თან სდევს და მათთან დაკავშირებულ განცდებსა და ემოციებს ხშირად ლექსებში აბინავებს.

ახლახან ძალიან, ძალიან მონატრებული დედის გარდაცვალების ამბავი მოუვიდა გაღმიდან და ძლივს გადალახა საზღვრად წოდებული ენგურის ბარიერები, ცრემლებმაც ვერ გაალღვო გაგულქვებული ადამიანების უარი... ლექსად გარდათქმული ეს სინამდვილე კი ვერც ერთ მკითხველს ვერ ტოვებს გულგრილად.

მეუღლე და ორი გოგონა ჰყავს, ენგურს გაღმა კი ახლა მხოლოდ 18 წლით უმცროსი მისი გაზრდილი ძმა დარჩა და თავის ემოციებსაც ორივე ნაპირს თანაბრად უწილადებს ხოლმე.

ლექსები

მაია მიქაია



ლარნაკი

იდგა ლარნაკი ბროლის იერით
და იყო სავსე სიცარიელით.
ის სახსოვარი იყო დედისგან,
უტრიალებდნენ ბზარებს კედლისკენ.
ბზარებს ხედავდა მხოლოდ კედელი,
ასე მდუმარედ მრავლისმეტყველებს...
იდგა ლარნაკი და იშვიათად
დებდნენ ყვავილებს, ქალს რომ მიართვეს.
იდგა თავისთვის, ზოგჯერ მტვრიანიც
კი ამშვენებდა ფორტეპიანოს.

მელნისფერი კაცის სოლოდან...

ბათუ დანელიას

დრო მალე გადის, თუ გარითმულ სევდას ეწვევი,
ცხოვრებაც დროა, ისიც გადის ერთი საათივით
და მოდის თოვლი, მოდის, როგორც თეთრი რეფრენი,
ცის და პოეტის საიდუმლო რეჩიტატივი.
თუკი დახატავს, ალბათ, ისევ მუქად დახატავს
მიწიერ ფერებს, თუმცა ყველას - თეთრთან
თავსებადს...
თურმე, იმიტომ უყვარს თოვლი, ისიც ქალსა ჰგავს -
ქალივით მოდის და ქალივით ხელში ადნება.
ლექსებში დარჩა, ვინც ძალიან ადრე წავიდა...
თოვლს ელოდება (ერთგულია თავისებურად)
და მადათოვზეც მხოლოდ თოვლი მოვა თავიდან,
თუმც სიღარიბეც ძაღლივით ხომ იყო ერთგული.
თუ ადამიანს, როგორც „ღმერთის ფოტოაპარატს“,
ამქვეყნიური სურვილები მიაქვს ღმერთამდე,
პოეტი სულით აფიქსირებს, სულით ატარებს
მიწას და თოვას - ამ ცხოვრების შავ-თეთრ ნეგატივს.
მელნისფერ თოვლზე, მელნისფერი კაცის სოლოდან,
რჩება ნაღველი, სიმარტოვე ფეთქავს პულსიდან.
როგორც ბეთჰოვენს ჩაესმოდა მთვარის სონატა,
ესმის სიჩუმე და ფიფქების მუნჯი მუსიკა.
მერე კი სული უცნაური კითხვით გევსება,
უსმენ და გიკვირს, მოგონებებს როგორ იოკებს!
რა უფრო გტკივა - ტკივილებს რომ ისმენ ლექსებად,
თუ ლექსებს შორის პოეტი რომ ამოიოხრებს...

* * *

ალბათ არ მინდა ასე ვევნო, ასე გავწამდე...
შენ ჩემს მზერაში ირეკლები -
ვიფარავ თვალებს,
რომ მეც ისევე არ ამტკივდე,
როგორც ჯვარცმამდე
ქრისტეს -
თვალებში არეკლილი ხის მძიმე ჯვარი.

პოეტი

ცა მართავს პოეტის არეულ გონებას,
მუდმივად მოუხმობს შორეთი.
პოეტის ცხოვრებას მზერას აყოლებენ,
გაშლილი ფიქრია პოეტი.
სხვაგვარად ალაგებს მის იღბალს განგება,
ვიდრე სხვა - ცხოვრების სტუმართა.
პოეტი კი არა, ის ქალიც არ კვდება,
ის ქალი, პოეტს რომ უყვარდა.
მისი ბედისწერა ტანჯვა და ფიქრია,
ლექსი კი ცხოვრების ფასი ღირს...
პოეტის ცხოვრებას ერთი თარიღი აქვს -
პოეტად გაჩენის თარიღი.

სესხი

ტკივილები ვესესხე დედამიწას,
შვილისთვის
სიცოცხლის სანაცვლოდ.
ის ყოველ ფეხის დადგმაზე ვალებს მახსენებს.
მეც კვნესით ვპასუხობ,
რომ
მახსოვს,
მახსოვს,
მახსოვს,
რა დამავიწყებს!..
რომ მალე საკუთარი სხეულით გადავუხდი...
შვილი ვესესხე ღმერთს,
ის ყოველ ამოსუნთქვაზე მახსენებს,
რამხელა ვალია -
იყო დედა!
მთელი ცხოვრება
ამ ვალს ვიხდი -
ლოცვით,
შვილის ყოველ ნაბიჯს
წინ რომ ვახვედრებ...
ვიხდი -
საკუთარი სხეულიდან
და ვაჭმევ...
ვიხდი -
საკუთარი თვალებიდან
და ვარწყულებ...
ვიხდი -
საკუთარი ნაოჭებით
და ვატყუებ,
რომ ნაოჭები
ღიმილისგან გამიჩნდა.
ვატყუებ,
რომ მერე
თვითონაც მოატყუოს შვილები...
რომ მერე თვითონაც
ისესხოს
ნატვრა -
ყვავილის მტვერზე მსუბუქი იყოს
დედის საფლავზე დაყრილი მიწა.

პაემანი ბლოკპოსტზე

ახლა გადავშლი... რამე უფრო უკეთესს დავწერ,
უფრო უბრალოდ, უფრო სადად და გასაგებად -
მხოლოდ ფიქრებში შემონახულ ბავშვობის სახლზე,
თეთრ პიონებზე, სიზმარშიაც რომ მენატრება;
დედაზე...
ვნახე ხუთი წუთით - როგორც მირაჟი,
წლების უნახავს ჩავეხვიე, ისიც მლოცავდა,
საკუთარ ცრემლებს რომ ვმალავდი თავსხმა
წვიმაში,
მისას - ტუჩებზე რომ ვიცხებდი მალამოსავით.
...და ისევ წლები დაგვაშორებს (ოღონდ იცოცხლოს!)
და მხოლოდ მის ხმას გავიგონებ (ოღონდ
მესმოდეს!);
დავიმახსოვრებ ენგურის ხიდს - ცოდვის სიმბოლოს,
ხიდზე მიმავალ შავოსან ქალს - ძვირფასს ესოდენ;
ჩემს ძმას...
- ერთბაშად ხვალ არ გნახო!.. აღარ დავეძებ,
დავსველდე!.. უხმოდ ჩავეხვევი მხრებს. არა უშავს,
რომ ეჩქარება... რამხელა ტვირთს იტევს ამ
მხრებზე -
ქვეყნის, ოჯახის, ახლობლების... ჩემს
სიყვარულსაც!..
განა არ ვიცი, როგორ უჭირს, თუმცა მუდმივად
ისე ალალად იღიმება... მაინც ეტყობა,
სულ სხვა ნაპირის, სხვა ცხოვრების ნახვის
სურვილი,
თვალების ფსკერზე მიმალული უიმედობა...
.....
ასედაც ხდება - ვერც შენ ხვდები, სხვასაც ვერ
უხსნი,
რატომ ვმორჩილებთ დროს, მოვლენებს,
გარემოებას?!.
ბავშვობის მძიმე ჭრილობები რატომ შეუხსნა
და დაუნდობლად აქუცმაცა წლების მორევმა -
ბერი, ახლა რომ ვერ იხსენებს სახელს საკუთარს,
აკვიატებულ გზის საზღვართან მისვლას ეღირსა.
ვეღარ ვიჯერებ, რომ შევძელით!..
ლტოლვა დასრულდა
აფხაზეთისკენ და მშობლების საფლავებისკენ.
დგას დაბნეული, თან იმ მიზნით გაბრწყინებული,
განაწამები და სნეული რასაც სული სთხოვს -
ხსოვნაში ცოცხლად შემორჩენილ მიცვალებულებს
ლოცვა და ცრემლი საფლავებზე ჩამოურიგოს.
იქიდან ბიჭი წავიდა და ბერი ბრუნდება...
თითქოს ვუყურებ უკვე ნაცნობ სურათს ბიბლიურს,
ცრემლი, გამომშრალ ნაოჭებზე ნამარხულები,
ისე მორჩილად ეკიდება ყურის ბიბილოს...
.....
„აშო ჩელა დო იშო ბუსკა...“ ურმის კიჩოებს
მიჰყავს ჩემები, ჩემი გულიც - სადღაც მათ შორის...
ვერ შეძლებს ხიდი და-ძმა დიდხანს აშორიშოროს,
ის უარყოფილ ბავშვობასთან თუ დამაშორებს!..
აქეთ დავრჩი და... მხოლოდ გრძნობა არის ნაცნობი,
ხეხილის ბაღსაც უკვე აღარ ვემახსოვრები -
დაბერდებოდა... ჩათვლემილი ჩემი ბავშვობის
ღამეებს ლამბავს გაფარჩხული, ხშირი ტოტებით.
სიტყვა, უძლური - ჭრილობაზე მტკივნეულია,
ერთ მარცვალ ცრემლში რომ ტევ ძვირფას
ადამიანებს -
როცა მშობლიურ სახლის კედლებს უცხო სუნი აქვს,
როცა ჭიშკარიც უჩვეულოდ უცხოდ ჭრიალებს.
ღმერთო, შემინდე!.. უნდობლობით ვხდები სნეული,
სულს მინგრევს ჩემი უძლურება და უმწეობა,
როდესაც სვამენ ყანწებით და განსხვავებულით
გამეტებული ჩემი კუთხის სადღეგრძელოებს.
მიკვირს, სუნთქვა რომ მიგუბდება და მჩხვლეტს
ლავიწთან
და ისიც მიკვირს, რატომ ვბრაზობ, რატომ მოველი,
რომ ყველა იგრძნობს, რა უზომო ტკივილს განვიცდი
ერთი დევნილი და რიგითი წუთისოფლელი?!.
...ახლა გადავშლი, რამე უფრო უკეთესს დავწერ,
უფრო უბრალოდ, უფრო სადად და გასაგებად -
მხოლოდ ფიქრებში შემონახულ ბავშვობის სახლზე,
თეთრ პიონებზე, სიზმარშიაც რომ მენატრება;
დედაზე...

ლურჯ მონასტერში

ჩამოვაბერტყე სიზმრიან ფლასებს
ღამე - თვალების ბრმა რეკვიზიტი.
მზისფერი იყო მლოცველით სავსე
ტაძარი, ასე რომ მიმიზიდა.
დარდები ყინვის მადლით მოსილი,
თანაგრძნობისგან ისე დაცლილან,
როდესაც ძალა გაქვს გამოცლილი,
უფხო თევზივით - გჭამენ ადვილად.
მტვრიანი ქუჩით მოვდივართ ღმერთთან,
მოგვაქვთ სიმძიმე დახრილ თავებით.
აქ ზოგნი, ალბათ, სინდისთან ერთად,
უსინდისობას ისუფთავებენ...
ვცვლი ცალი სანთლის გასამრჯელოში
საკუთარ სუნთქვას და სულის ლიცლიცს.
კი არ ვლოცულობ, ტაძრის ეზოში
ლოცვასთან ერთად ვდგავარ და ვიცი -
რომ ვერ მომხიბლავს ცხოვრების ეშხი,
ვერ გამისწორებს თვალებს მრუშიანს;
რომ აზრი მთელი სიცოცხლის - მრეშის,
სულ ერთი წამის სიხარულშია;
რომ შეიძლება უხილავ მაყრებს
მზიან ბილიკზეც გადავეყარო -
ჩემი ვარსკვლავი, უბრალოდ, გაქრეს,
უბრალოდ... ღრუბელს ამოეფაროს;
რომ ტაძრებს დაღლილს, უხსოვარხნიანს,
ვერ გააკვირვებ სულის ღირსებით;
რომ... სიცხიანი ბავშვივით თრთიან
ახლად დარგული კიპარისები.

დღე...

სად იყო ქარი...
საბედისწერო
დღეს ჰქონდა გემო -
მწიფე უნაბი...
უკვე ვიცოდი, რა ბედიც ვწერე -
ცას ქუდად ვეღარ დავიხურავდი.
ცხოვრება იყო ამ დღის წინათქმა,
ღმერთმაც და კაცმაც ასე ინება...
უსიყვარულოდ ლოცვა ვინა თქვა,
ან სიყვარულის მონანიება!
სამყარო სცოდავს
და, კაცმა რომ თქვას,
სიმშვიდე აქ რა მოსატანია?!
მიუტევებელს ჩავიდენ ცოდვას
და ჩადენამდე მოვინანიებ.
შეგონებები ცრუა, ლიტონი -
ადამიანი
ტანჯვის გზით ივლის...
სული კი...
მაინც ყველგან იპოვის
თავის გზას -
თავის ასაფრენ ბილიკს.

განათლება - ძალა, რომელიც აფხაზეთს დაგვიბრუნებს

მაია შონია

არსებობს აფხაზეთიდან დევნილთა თაობა, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე არ დაბადებულა, მაგრამ კონფლიქტის ზონად ქცეული მშობლიური მხარე ისე სტკივა, როგორც იქ მცხოვრებთ. ეს თაობა ოფიციალურ დოკუმენტებში მითითებულ დევნილის სტატუსს არად დაგიდევთ და სულ სხვა ფრონტზე და სულ სხვაგვარად იბრძვის. ბრძოლის შედეგები და მომავლის პერსპექტივაც სახეზეა. სწორედ ამ თაობის შვილები არიან გალის რაიონიდან დევნილი დები ლედი და მეგი ჯალაღონიები.

მართალია, ლედი რუსეთში დაიბადა, მეგი თბილისში, ოჯახი საბოლოოდ ზუგდიდში დაფუძნდა და ბავშვებიც იქ იზრდებოდნენ, მაგრამ აფხაზეთთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. ბებია და ბაბუა დღემდე გალში ცხოვრობენ და ზაფხულობით მათ აკითხავენ ხოლმე. მამა ადრე გარდაიცვალა. დედა ზუგდიდში ცხოვრობს, ბინაში, რომელიც სახელმწიფომ მათ ოჯახს ახლახანს გადასცა. ლედი და მეგი ზუგდიდში მდებარე აფხაზეთის მე-11 საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები იყვნენ. მათი გამორჩეული უნარები მხოლოდ სასწავლო პროგრამის ზედმიწევნით შესწავლით არ შემოიფარგლებოდა. ისინი თითქმის ყველა სასკოლო და სკოლის მიღმა კონკურსისა თუ ოლიმპიადის მონაწილეები, პრიზიორები და გამარჯვებულები იყვნენ. დები წლების განმავლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ დაწესებულ წლის საუკეთესო მოსწავლის ტიტულს არავის უთმობდნენ. ერთ-ერთ ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობა ლედისთვის დიდ ბრიტანეთში ენის შემსწავლელ ორკვირიან კურსებზე გამგზავრებითაც კი გამოიხატა.

2012 წელს ლედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გახდა სრული დაფინანსებით. არჩევანი აღმოსავლეთმცოდნეობაზე შეაჩერა და სწავლა არაბისტიკის მიმართულებით გააგრძელა.

სტუდენტობა ლედისთვის ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი და მისი ინტერესების რეალიზების საშუალება აღმოჩნდა. როგორც თავად ამბობს:

მეგი ჯალაღონია

ლედი ჯალაღონია

- ჩემი ინტერესის სფერო არის ლინგვისტიკა, არაბული ენა და არაბულ სამყაროში მიმდინარე ენობრივი პროცესები. მეორე კურსიდან მოყოლებული აქტიურად ვმონაწილეობ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე (მათ შორისაა საერთაშორისო კონფერენციები). რამდენჯერმე გავხდი პრეზიდენტის სტიპენდიატი, ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტი. მესამე კურსზე, ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, გავემგზავრე ეგვიპტეში არაბული ენის ერთთვიან კურსებზე კაიროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში. იმავე წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგად მოვიპოვე ქუვეითის უნივერსიტეტის ენების ცენტრის ერთწლიანი სასწავლო სტიპენდია სრული დაფინანსებით. ამ კურსის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავიცავი საბაკალავრო ნაშრომი და მოვიპოვე აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება ისევ არაბისტიკის მიმართულებით გადავწყვიტე. ისევე როგორც ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზეც სრული დაფინანსებით გავაგრძელებ სწავლას.

იქამდე ლედიმ კიდევ ერთი, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის უმაღლესი განათლების სამინისტროს ერთწლიანი სასწავლო სტიპენდია მოიპოვა და ამჟამად კაიროში სწავლობს. ენის შესწავლის სპეციფიკიდან გამომდინარე ამ გამოცდილებას განსაკუთრებულად აფასებს:

- შეუძლებელია ენის საფუძვლიანი შესწავლა ენის მატარებელი ხალხის კულტურის, ტრადიციების, მსოფლმხედველობის გაცნობის გარეშე. ისევე როგორც შეუძლებელია ხალხის ბუნების ბოლომდე წვდომა მისი ენის ცოდნის გარეშე. ამიტომაც ჩემთვის, როგორც არაბისტისთვის, არაბულ ქვეყნებში სწავლა და ცხოვრება ფასდაუდებელი შესაძლებლობაა. ამჟამად კაიროში უცხოელი სტუდენტებისთვის განკუთვნილი ლექციების პარალელურად ვესწრები თავად არაბი სტუდენტების ლექციებს არაბულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე ვეცნობი არაბული ენის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკას და რაც მთავარია, უშუალოდ ხალხთან ურთიერთობა საშუალებას მაძლევს დავეუფლო ეგვიპტურ დიალექტს. შევეცდები, აქ მიღებული გამოცდილება გამოვიყენო ჩემს მომავალ საქმიანობაში.

მომავალი პროფესია ასევე გააზრებულად აირჩია ლედის უმცროსმა დამ, ასევე ძალიან წარმატებულმა მეგიმ. ის ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს.

- თქვენს ასაკში ბავშვები ინფანტილურები არიან და ისეთ სპეციალობებს ირჩევენ, რომლებიც შემდეგ აღმოჩნდება, რომ სულაც არ არის მათი საქმე. შენ და შენმა დამ უფრო პრაქტიკულად იფიქრეთ?

- პროფესიას როცა ირჩევ, ფიქრობ, რამდენად აქტუალურია და რამდენად გიყვარს ის. ინგლისური ენისადმი და ზოგადად, ინგლისური კულტურისადმი სიყვარული ბავშვობიდან მომყვება. სულ მქონდა კონტაქტი უცხოელებთან. ჩემი და ლედი ვისთანაც იყო ინგლისში, ოჯახში, ისინიც გვყავდა საქართველოში სტუმრად. ერთხელ დავპატიჟეთ და მას შემდეგ ყოველ წელს ჩამოდიან, მთელი საქართველო შემოვატარეთ. ინგლისური მთელ მსოფლიოში აქტუალური და ყველაზე მოთხოვნადი საერთაშორისო ენაა და ვფიქრობ, მისი სრულყოფილი ცოდნა აუცილებლად გამომადგება. მეც მქონდა ოცნებები თეთრ ხალათზე, ექიმობაზე, მერე იყო სამართალმცოდნეობა, საერთაშორისო სამართალი, ფსიქოლოგობაც მინდოდა. საბოლოოდ,მყარად გადავწყვიტე, რომ ინგლისური ენის ფილოლოგობა იყო ჩემი მომავალი საქმიანობა. ზუსტად იმ ფაკულტეტზე ჩავაბარე, სადაც მინდოდა. 50-პროცენტიანი დაფინანსება მაქვს. ასევე, უკვე მეორედ ვარ პრეზიდენტის სტიპენდიატი. ვმონაწილეობ საერთაშორისო პროგრამებში. ერაზმუსის გაცვლითი პროგრამით თებერვალში ექვსი თვით მივდივარ ლისაბონის (პორტუგალია) უნივერსიტეტში, სადაც ინგლისურ ენას და მასთან დაკავშირებულ საგნებს გავივლი. ეს ჩემთვის დიდი შანსია ცოდნის გასაღრმავებლად. ძალიან მინდა, რომ იქაურ სწავლების მეთოდებს გავეცნო, რომელსაც შემდეგ ჩემს მომავალ საქმიანობაში გამოვიყენებ.

- ინგლისური ენის ფილოლოგს ბევრი ასპარეზი აქვს. პედაგოგობას აპირებ, თარჯიმნობას თუ სხვა მიმართულებას აირჩევ?

- როდესაც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა გადავწყვიტე, კომისიასთან გასაუბრებაზე ვთქვი, რომ მასწავლებლობა მინდა და ამიტომ სწავლების მეთოდები მინდა შევისწავლო-მეთქი. მკითხეს - დარწმუნებული ხარო? ჩემი ასაკის ახალგაზრდისგან პედაგოგობის სურვილს არ ელოდნენ, მაგრამ მე ნამდვილად დარწმუნებული ვარ ჩემს არჩევანში. არსებობს სტერეოტიპი - ინგლისური ყველამ იცის და რა უნდა მის სწავლას. სინამდვილეში, ინგლისური თითო-ოროლამ თუ იცის საქართველოში ისე, როგორც საჭიროა. ამ სტერეოტიპულ მიდგომასთან ძალიან ცუდი დამოკიდებულება მაქვს. ეს არ არის მარტივი ენა და ზოგადად, ენის სწავლა სულაც არ არის მარტივი.

- ენის მეტ-ნაკლებად სრულყოფილად შესწავლისთვის აუცილებელია ამ ენის მატარებელ ხალხთან მჭიდრო კონტაქტი. ლისაბონის გარდა კიდევ თუ გეგმავ სხვა პროგრამებში მონაწილეობას?

- არსებობს სხვა გაცვლითი პროგრამებიც, იგივე ამერიკის უნივერსიტეტებში. ლისაბონში აქცენტი იქნება ბრიტანულ ინგლისურზე. არსებობს ახალზელანდიური, ავსტრალიური, ამერიკული ინგლისური და რაც მეტი განშტოება იცი, მით მეტად ფასობს შენი ცოდნა, მით მრავალფეროვანია ხედვაც. ჩემი გეგმებიც ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავებას უკავშირდება. მრავალპროფილური პროფესიაა, ბევრგან შეიძლება თავი მოსინჯო, ბევრ შესაძლებლობას იძლევა და ამიტომაც მხიბლავდა თავიდანვე.

- კონკურენცია როგორია?

- კონკურენცია რომ დიდია, იგივე ერაზმუსის პროგრამაში მონაწილეობის დროსაც გამოჩნდა. მაგრამ ეს არ არის ჩემთვის დამაბრკოლებელი ფაქტორი. პირიქით, ჩემს პროფესიაში და ნებისმიერ საქმეში კონკურენცია აუცილებელია იმისთვის, რომ განვითარდე.

- საქართველოში კონკურსებს ეჭვის თვალით უყურებენ, არსებობს ჩაწყობის ფენომენიც. თქვენი ბიოგრაფია სულ სხვა რამეზე მეტყველებს.

- სახელმწიფო ოლიმპიადებზე წარმოუდგენელია ჩაწყობა. მე, როგორც ერთ-ერთი გამარჯვებული, ვამბობ ამას. რჩევასავით მინდა მივცე ბავშვებს, ყველა კონკურსში უნდა მოსინჯონ საკუთარი თავი. ღირს მონაწილეობა, თუნდაც ის ჩაწყობილი გეგონოთ. რაც მეტს მოსინჯავ, მით მეტად განვითარდები. იქნება დამარცხებებიც. მეც მქონია შემთხვევები, როცა რაღაც არ გამოვიდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ყველაფრის დასასრულს. ამან უნდა გასწავლოს ის, რომ არ უნდა დანებდე. თუ დანებდი, ნიშნავს, რომ სუსტი პიროვნება ხარ. ყველა კონკურსი, რომელზეც გავედი, წინსვლაში დამეხმარა. რაც წინა კონკურსში შემეშალა, მომდევნოზე თვითონვე გამოვასწორე. მარტო ის კი არ არის, რომ გაიმარჯვო, პრიზი აიღო და წახვიდე სახლში. ამ ყველაფრისგან უნდა ისწავლო რაღაც. რაც ჩემს თავში მინუსები დავინახე, გამოვასწორე და ახლა სულ სხვა ენთუზიაზმით ვმონაწილეობ ხოლმე კონკურსებში. გამარჯვების დროსაც არ უნდა იყო თვითკმაყოფილი.

ერაზმუსის გაცვლითი პროგრამით ლისაბონში გამგზავრება მეგის პირველი ვიზიტია სტუდენტის სტატუსით. თუმცა მანამდე იყო არაერთი სასკოლო ოლიმპიადა, სამეცნიერო კონფერენციები. ამჟამად უნივერსიტეტში ქართულ ენაში არსებულ ინგლისურ აბრევიატურებს და ჩვენს ენაში შემოჭრილი ინგლისური სიტყვების პრობლემას იკვლევს. ამ მხრივ ქართული და სხვა ენების მდგომარეობის შედარებით ანალიზსაც გეგმავს.

ლედი და მეგი ჯალაღონიებს ამ „ფრონტზე" ბრძოლაში ის აძლიერებთ, რომ, მათი აზრით, სწორედ განათლებაა ის ძალა, რომელიც კონფლიქტის მოგვარების საკითხშიც გარდატეხას შეიტანს. ამ საკითხში მათი ხედვა ერთმანეთს სრულად ემთხვევა.

ლედი: - რამდენიმე წლის წინათ, როდესაც შედარებით თავისუფლად შეიძლებოდა გადაადგილება, არდადეგებს ძირითადად გალსა და ოჩამჩირეში ვატარებდით. ამჟამად კი სპეციალური მოსაწვევის ქონა და ე.წ. ვიზის წარდგენაა აუცილებელი. სწორედ ამ მიზეზის გამო, უკვე რამდენიმე წელია ვეღარ ჩავდივარ გალში, წლებია არ მინახავს საკუთარი სახლი. რაც შეეხება უშუალოდ კონფლიქტს, მგონია, რომ განათლება არის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია სათანადოდ მივიტანოთ სათქმელი ცივილიზებულ სამყარომდე. სტუდენტებიც, გარკვეულწილად, დესპანების როლში გამოვდივართ ნებისმიერ უცხო ქვეყანაში. სხვათა შორის, კაიროში მე და ჩემს მეგობრებს წილად გვხვდა სხვადასხვა დანესებულებაში, ბიბლიოთეკასა თუ უნივერსიტეტში წარგვედგინა ქართულ და არაბულ ენაზე გამოცემული წიგნი „აფხაზეთი. საქართველო: ისტორია, პოლიტიკა, კულტურა". (ავტორები - ჯემალ გამახარია, ლია ახალაძე, არაბული ტექსტის რედაქტორი - ნინო ეჯიბაძე. თბილისი 2017).

მეგი: - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გზა განათლებაა. მხოლოდ განათლებას და მის ძალას შეუძლია ამ პრობლემის მოგვარებაში გარდატეხის შეტანა. ჩემი თაობა, ვფიქრობ, ამისთვის ბევრს აკეთებს. მართალია, ჩვენ ომი არ გვინახავს, მაგრამ მაინც გვტკივა, რადგან იქ დავდივართ და ვიცით რა ხდება. განათლების მიღების საქმეში კი მე ჩემი წვლილის შეტანას აუცილებლად შევძლებ.

ეს იმაზე მეტია, ვიდრე მუსიკალურ კონკურსში გამარჯვება

მაია შონია

ენგურს გაღმა დარჩენილი სამშობლოდან დევნილი 21 წლის ნათია თოდუა სატელევიზო მუსიკალურ შოუ „The Voice of Germany"-ში გერმანელი ხალხის რჩეული გახდა. მან კონკურენტები დიდი უპირატესობით, ხმათა 50,1%-ით დაამარცხა. გერმანელი მსმენელის არჩევანმა არა მხოლოდ ნათიას, არამედ მისი ქართველი თანატოლების ცხოვრებასა და ცნობიერებაშიც შეცვალა ბევრი რამ. სოციალურ ქსელში ნათიას წარმატებას ასეთი შეფასებაც კი მოჰყვა: „ეს იმაზე მეტია, ვიდრე გამარჯვება ყველაზე რეიტინგულ მუსიკალურ კონკურსში! ეს არის გამარჯვება ომზე და ომის შედეგებზე! გილოცავთ! და ვამაყობთ!" მისმა შემართებამ დაამტკიცა, რომ დაკარგული თაობები არ არსებობს და ნიჭს, რომელსაც თან ახლავს თავდაუზოგავი შრომა და ბრძოლა, წაგებული ომით გამოწვეული უმძიმესი შედეგებიც კი ვერ ერევა.

ნათია თოდუა 26 000 კონკურსანტიდან ოთხ ფინალისტს შორის მოხვდა. ფინალურ ტურში, რომელიც ბერლინში 17 დეკემბერს გაიმართა, კონკურსის წესების შესაბამისად, მან ოთხი სიმღერა (მსოფლიო ჰიტები) შეასრულა. მისი მწვრთნელი ფინურ როკ ბენდ Sunrise Avenue-ს ცნობილი ვოკალისტი სამუ ჰაბერი იყო. ისიც ნათიასთან ერთად კონკურსის გამარჯვებული გახდა.

სოციალურ ქსელში ნათია თოდუას გამარჯვებას გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი - „ნათია გილოცავთ ამ დიდ წარმატებას! ვამაყობთ შენით!"

„ნათია თოდუა „The Voice of Germany 2017"-ის გამარჯვებულია! გილოცავ ნათია! საქართველო ამაყობს შენით!" - ასე მიულოცა ნათიას წარმატება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა.

ლადო ჭანტურიამ ქართველი კონკურსანტის ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ სატელევიზიო შოუში გამარჯვება ასე შეაფასა: „ვულოცავ ამ საოცრად ნიჭიერ ქართველ მომღერალს, ნათია თოდუას, მისი შემოქმედებითი ცხოვრების უდიდეს გამარჯვებას - ის პირველი ქართველია, ვინც გერმანიაში ასეთი აღიარება მოიპოვა. ნათია გერმანიის პოპულარული სატელევიზიო კონკურსის „ვოის ოვ ჯერმანის" გამარჯვებულია. რაც ყველაზე მთავარია - ის მაყურებელმა აირჩია."

„აი ის, ჯანის ჯოპლინური ხრინწი რომ ამოსდის ყელიდან, აფხაზეთის მონატრებაა!" - მანანა დუმბაძე.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ „The Voice of Germany 2017"-ში ნათიამ ჟიური ნინა სიმონეს „მოჯადოებულით" მოაჯადოვა. გერმანელი ხალხის მხარდაჭერამ ქართველი კონკურსანტი ნახევარფინალისტი გახადა. აქ მან დუელში გერმანელი კონკურსანტი გამოიწვია და ჟიურიმ აქაც ნათიას მიანიჭა უპირატესობა. ეს კი უკვე წარმატებისკენ გადადგმული ძალიან დიდი ნაბიჯი იყო. თავად ნათია მიიჩნევდა, რომ ნახევარფინალისტობა გერმანიაში კარიერის დაწყების დიდ შანსს აძლევდა. თუმცა, ამ კონკურსში მისი წარმატების „ფინალი" ეს ეტაპი არ აღმოჩნდა. ის კონკურსის ოთხ ფინალისტს შორის ფავორიტად დასახელდა და ფინალის ლოგიკური „ფინალი" 17 დეკემბერს ნათიას გამარჯვება გახდა.

გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ სატელევიზიო შოუში გამარჯვება კი უკვე მომავალი წარმატებული მუსიკალური კარიერის ნამდვილი დასაწყისია. ამის წინაპირობაა პროექტის ფარგლებში ფინალისტის თვენახევრიანი ტურნე მთელი გერმანიის მასშტაბით (როგორც ცნობილია, კონცერტების ყველა ბილეთი გაყიდულია). ნათია საკუთარ ალბომზე მუშაობასაც გეგმავს და სწავლის გერმანულ მუსიკალურ სასწავლებელში გაგრძელებასაც აპირებს.

ამ გამარჯვებით ახალი ცხოვრება არა მხოლოდ ენგურს გაღმიდან რუსულ-აფხაზურ „საბაჟო გამშვებ პუნქტს" გამოცდენილი დევნილი გოგოსთვის, არამედ მისი ოჯახისთვისაც დაიწყო. მათ შორის გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში მცხოვრები მამისა და ბაბუისთვის, რომლებიც ნათიას წარმატებას სხვებისგან იგებენ. თბილისში მცხოვრები დედა და და კი ნათიას საგულშემატკივროდ (მისთვის მოულოდნელად) გერმანული „ვოისის" სცენაზეც კი აღმოჩნდნენ.

თავად ნათია არასდროს ივიწყებს იმ გზას, რომლითაც აქამდე მოაღწია და თამამად ამბობს - „ამდენს იმიტომაც მივაღწიე, რომ აფხაზეთიდან ვარ".

მისი ოცნებაც ასეთია: „ჩემთვის მუსიკის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ამ ეტაპზე წინ მივდივარ, არ ვჩერდები... რაღაც გეგმები მაქვს და იმედია, გამომივა ყველაფერი ისე, როგორც ვფიქრობ... მე ბევრს ვიმღერებ ჩემს სოფელში, ჩემი სოფლის ეზოში, მაგნოლიის ხის ძირას, გიტარით, მე და ჩემი ოჯახი...

ჩემი ოცნებების ოთხმოცდაათი პროცენტი მიმართულია ჩემს მუსიკალურ ცხოვრებაზე, მე მუსიკის გარეშე მოვკვდები... ჩემი ოცნებაა აფხაზეთი, ჩემი ოცნებაა სიმღერა... ორივე ჩემი ცხოვრების ნაწილია... მინდა, ამ საქმის კეთება მშვიდობიანად შევძლო ჩემს მხარეში, ჩემს სევდიან, ლამაზ აფხაზეთში..."

გულშემატკივრებს კი ასე მიმართავს: „უღრმესი მადლობა, რომ მთელი საქართველო ზეიმობთ ჩემთან ერთად! უბედნიერესი ვარ!

ასევე მსურს მოგიწოდოთ, რომ უბრალოდ, გავიხაროთ აწმყოთი, რომელიც ძალიან დამეხმარება ნათელი მომავალის შექმნაში.

არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრების რაღაც ეტაპზე მიღებულ მაღალ შეფასებებს იჯერებენ და შემდეგ ჩერდებიან.

არიან ადამიანები, რომლებსაც გულის ძახილი არ ასვენებთ და მიღწეულს არ ჯერდებიან. მე ბედნიერი ვარ, რომ ამის ძალა აღმომაჩნდა, ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებამ ბავშვობიდან ბრძოლა მასწავლა და გამაძლიერა როგორც პიროვნება. მაშინდელი უარყოფითი შეფასება თუნდაც იმიტომ იყო საჭირო, რომ დღეს აქ ვყოფილიყავი, ამიტომ ჩემი თხოვნა იქნება შევირგოთ აწმყო და ეს წარმატება. არ ჩავაჯინდეთ წარსულს, რომელიც მიგაჩნიათ, რომ შეცდომა იყო... ნუ გავაზიარებთ იმ ნეგატივს, რაც საბედნიეროდ, ჩემს წარსულში დარჩა. ყველა ადამიანს გააჩნია საკუთარი აზრი, ყველა ადამიანი თავისი თავის უფალია. ვიცი, რომ 2014 წელს გამოუცდელი კონკურსანტის ნათია თოდუას შეფასება გიორგი გაბუნიასგან შეურაცხყოფა უფრო იყო, ვიდრე შეფასება, მაგრამ საბედნიეროდ, ამით არ დამთავრებულა ყველაფერი.

დღეს მოლოცვებთან ერთად ვხედავ, რომ უმრავლესობა მათ კრიტიკაზე და შეურაცხყოფაზე გადადის, რაც ნამდვილად არ არის საჭირო.

P.S. მე პირადად არ მსურს შეურაცხყოფას შეურაცხყოფით ვუპასუხო, მე მოგებით ვუპასუხე.

აფხაზეთის წარმატებული სპორტსმენები დააჯილდოვეს

ლელა მიქელაძე

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში აფხაზეთიდან დევნილი წარმატებული სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოების ცერემონიალი გამართა.

დაჯილდოება აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2017 წლის ქვეპროგრამის „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა დაჯილდოება" ფარგლებში მოეწყო. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ აფხაზეთიდან დევნილი ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები: სიომა ბარქაია (ფეხბურთი), გრიშა ცაავა (ფეხბურთი), გიორგი ყურაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ლუკა კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა); მწვრთნელები: ვაჟა კვარაცხელია (კალათბურთი), ზურაბ ლოლუა (ფარიკაობა); მოქმედი სპორტსმენები: ზებედა რეხვიაშვილი (ძიუდო), საბა სოსელია (მძლეოსნობა), დავით ხეცურიანი (ძალოსნობა).

სიომა ბარქაია

თავშესაფარი მარიამისა და იოსებისთვის

ერთ უამბობდა ფლორიანს თუ როგორ გაეშურნენ საშინელ ყინვაში მარიამი და იოსები ბეთლემისკენ და როგორ ამაოდ მიუკაკუნეს სამ მედუქნეს, რათა როგორმე თავშესაფარი ეპოვნათ.

პირველმა მედუქნემ პასუხის ღირსადაც არ ჩააგდო, თავი გაიქნია და ბატონკაცური ამპარტავნობით კარისკენ მიუთითა - „ეშმაკამდე გზა გქონია!“

მეორე ღაჟღაჟა მედუქნემ იყვირა: „მე ბოგანოებს არ ვემსახურები! ეს ქალი ფეხმძიმედაა, ბავშვი სადმე სხვაგან გაჩნდება, ჩემთან არა!“

მესამე მედუქნე თითქოს უფრო ლმობიერი გამოდგა: „ჩემი სახლი ჭერამდეა გატენილი სტუმრებით. აღწერაა და, ხომ იცით, ოთხივე კუთხიდან აქეთ მოედინება ხალხი. ქალბატონი ბავშვს ელოდება? რა ვქნა, რით დაგეხმაროთ, ყველა ოთახი დაკავებულია“. მედუქნემ კეფა მოიქექა „აგერ, თავლას შემოგთავაზებთ, ეს მეც ხელს მაძლევს, თან ხვალ, იქნებ ადგილიც გათავისუფლდეს“.

ღამით იესო დაიბადა. დილით, როცა თავლაში ბავშვი ნახა, გაოცებულ მედუქნეს კეთილად გაეღიმა: „გილოცავთ, მაგრამ თავისუფალი ოთახი რომ ისევ არა მაქვს? კიდევ ორი დუჟინი ახალი სტუმარი მივიღე“.

მწყემსები უკვე გზას ადგნენ, რათა ბავშვისთვის თაყვანი ეცათ. აღმოსავლეთის ქვეყნიდან სამი წარჩინებული და ბრძენი ხელმწიფეც გამოემართა იესოს სანახავად. ბავშვი კი, წარმოიდგინეთ, თავლაში იწვა ხბოებთან და ვირის ჩოჩრებთან ერთად. რა სირცხვილია ჩვენი, ადამიანების!

პაპა ამ ამბავს ისე თვალსაჩინოდ, ნათლად ჰყვებოდა, რომ ბავშვმა ყველაფერი სწორად ვერ გაიგო. ფლორიანი საექსკურსიო თანამშრომლის შვილი იყო და ხშირად ესმოდა, როგორ უკვეთავდა ხოლმე მამამისი ოთახს.

ახლა მშობლებს არ ეცალათ. დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა, მამა ნაძვის ხეს რთავდა, პაპა კი თავის ოთახში, ტახტზე იწვა და ეძინა.

„გრანდოტელის ადმინისტრატორი გისმენთ, საღამო მშვიდობისა“.

„დიახ. ვინ ბრძანდებით?“

„ფლორიანი“.

ქალს ხმა დაურბილდა: „რომელი ფლორიანი?“

„ფლორიანი ბერჩი. მამაჩემს საექსკურსიო ბიურო აქვს“.

სიჩუმე ჩამოწვა.

„ფლორიან, მისმენ?“

„დიახ. გთხოვთ, დამიჯავშნოთ ლამაზი, მშვიდი ოთახი!“

„როდისთვის გნებავთ?“

„ამ საღამოსვე!“

„ფლორიან ხომ იცი, დღეს წმინდა დღეა!“

„ვიცი“,- აქ ფლორიანს გამბედაობამ უმტყუნა, რადგან ვეღარ გაიხსენა, კიდევ რას ეუბნებოდა ხოლმე მამამისი, როცა ოთახს უკვეთავდა.

„ოთახი მარიამისა და იოსებისთვის მინდა“.

„ააა“.

„რაც გინდა ღირდეს, თანახმა ვარ“.

„კი ბატონო, მაგრამ ვინ გადაიხდის“?

„მე“.

„შენ“?

„მარიამს და იოსებს ფული არა აქვთ, არ იცი“?

„ვინ გიამბო“?

„პაპამ“!

„კარგი ყველაფერი გასაგებია“.

„მათ ბავშვიც ჰყავთ“.

„ამაზე სულ არ მიფიქრია. მაშინ დიდი ოთახი დასჭირდებათ, ეს უფრო ძვირი დაგიჯდება“.

„მათ ნამდვილად სჭირდებათ დიდი ოთახი, როგორმე მწყემსები და მეფეებიც ხომ უნდა მოთავსდნენ“.

„ფული რამდენი გაქვს, ფლორიან, რისი გადახდა შეგიძლია“?

„მე მგონი“...

„ერთი შენს ყულაბაში ჩაიხედე. ყულაბა ხომ გაქვს“?

„კი გოჭი - ყულაბა მაქვს“.

„უნდა გატეხო“?

„შემიძლია მუცელთან გავხსნა“.

ფლორიანმა ყურმილი გვერდზე გადადო და გაიქცა. ქალიც ინტერესით ელოდა ბიჭის დაბრუნებას.

ფლორიანმა გახსნა ყულაბა და გადათვალა თავისი ფული, შემდეგ ტელეფონთან მიირბინა:

„ისევ აქ ხარ“?

„რა თქმა უნდა, ფლორიან, აბა,რამდენი გაქვს ფული“?

„27 მარკა და 53 პფენინგი ,შეიძლება 54-იც კი იყოს“.

„კარგი, პფენინგებზე ნუ ვილაპარაკებთ. ესე იგი, 27 მარკა გაქვს“.

„ჰო, ეს ხომ უამრავი ფულია“.

„მოკლედ, მეგობრულ ფასს შემოგთავაზებ: 30 მარკა“.

„30 მარკა“? - დაფიქრდა ფლორიანი და ისევ მამა გაახსენდა:

„29 მარკას მოგცემთ“.

ფლორიანი გულში ფიქრობდა, რომ პაპას შეაბამდა, მასთან ხომ ყოველთვის გასდიოდა. ერთ-ორ მარკას დედაც დაუმატებდა.

„ფლორიან, გისმენ“.

„ჰო, აქ ვარ. 29 მარკა ჩემი ბოლო სიტყვაა“.

„თანახმა ვარ. მოკლედ, უნდა დაგიჯავშნო 29 მარკად ლუქსი მარიამისა და იოსებისთვის. ოღონდ, იცოდე, ასე იაფად მარტო იმიტომ, რომ შენ მთხოვ. როდის ჩამოვლენ სტუმრები“?

აქ ფლორიანი დაიბნა. „მარიამი და იოსები თავლაში ცხოვრობენ, ნეტავ, პაპამ თუ იცის, სად არის ეს თავლა“?

„აუცილებლად ვკითხავ“.

„რას ჰკითხავ“?

„სად არის თავლა“.

„მაგაზე ნუ იდარდებ. პაპა, ალბათ, გეტყოდა, რომ თავლის თავზე ვარსკვლავია, ამით ადვილად ვიპოვით. შენ კი შობის მეორე დღეს მოხვალ და ფულსაც გადაიხდი. 29 მარკას“.

„შეგიძლიათ, მენდოთ, ჩვენი ფირმა ყოვლეთვის წინასწარ იხდის“. ეს ფრაზა, რომელიც ფლორიანს მამისგან ესმოდა ხოლმე, კარგად მოერგო სიტუაციას. მან ყურმილი დადო და თვითკმაყოფილმა გაიფიქრა: „კარგია, როცა დედას და მამას ყურადღებით უსმენ“.

ამ შობას ფლორიანი განსაკუთრებით ბედნიერი იყო. მარიამი და იოსები და, რაც მთავარია, ჩვილი იესო თავლაში აღარ გაათენებდნენ ღამეს. თანაც აღარ შერცხვებოდათ სამი დიდებული მეფისა, რომლებიც ყრმის სანახავად მივიდოდნენ.

„პაპა, ერთ მარკას ვერ მაჩუქებ?“

„რატომ, შენი საჩუქრები არ მოგწონს“?

ფლორიანს სიმართლის გამხელა არ უნდოდა...

„მაშინ შენი საჩუქრები მომეცი, მე კი სანაცვლოდ ერთ მარკას მოგცემ“.

„არა, არა, ხვალისთვის, შობის მეორე დღისთვის“?

„ამას მერე გეტყვი. გაოცებისგან თვალებს დააჭყეტ, როცა ყველაფერს გაიგებ“.

„საშობაო ქალი და თერთმეტი სხვა მოთხრობა“.
ენგელჰორნის გამომცემლობა.
შტუტგარტი, 1991 წ.
თარგმნა ლია ნარმანიამ.

„უფლის სიყვარული გადაგვარჩენს“

უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს აღსაყდრებიდან 40 წლისთავს მიეძღვნა

ნონა ბერაია

სამების საკათედრო ტაძრის საგამოფენო დარბაზში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ინტრონიზაციიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. საღამოს „უფლის სიყვარული გადაგვარჩენს“ ერქვა და მისსავე ფარგლებში მოეწყო სოხუმელი ახალგაზრდა მხატვრის მადლენა ბარაბაძის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა. პოეტ გენო კალანდიას წერილებისა და ლექსების მიხედვით წარმოდგენილ იქნა შემოქმედებითი კომპოზიცია „საგალობლები უფლისადმი“.

პროექტში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოსა

და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, აფხაზეთიდან დევნილი შემოქმედი ახალგაზრდები, საქართველოს და აფხაზეთის მხატვართა კავშირის წევრები; მანგლისის მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, წალკის ეპისკოპოსი გრიგოლ კაცია, მეუფე სტეფანე და სხვ.

საღამოზე შესრულდა უწმინდესისა და უნეტარესის მიერ დაწერილი საგალობლები ჩოხოსან რაინდთა დასის - ანსამბლ „შავლეგოს“ შესრულებით.

პროექტი აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განყოფილების, აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის - „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“ და აფხაზეთის მხატვართა კავშირის ორგანიზებით გაიმართა.

რედაქტორი ნატო კორსანტია
ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, ეკატერინე გადილია, სალომე თორია, რუსუდან ემუხვარი